



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვიქტორია-სოფიო ხუციშვილი, მაგისტრატურის სტუდენტი, კერძო სამართლის
მიმართულება, სამართლის ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელექტროენერგეტიკის სექტორში ვერტიკალური განმხოლოების აუცილებლობა

სამართლის სპეციალობა, იურიდიული ფაკულტეტი,
სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:
ბ-ნი აკაკი გაწერელია, ასისტენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2019

სარჩევი	
ანოტაცია.....	3
Annotation.....	4
შესავალი.....	6
თავი 1 ევროპის ენერგეტიკული პოლიტიკის ზოგადი მიმოხილვა.....	8
1.1. ევროპის ენერგეტიკული სექტორის განვითარების ეტაპები.....	9
1.2. ევროპის ენერგეტიკული სფეროს მიზნები პრიორიტეტული მიმართულებები.....	14
1.3. ევროპის ენერგეტიკული სექტორის სამართლებრივი რეგულაციები.....	14
თავი 2 საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორი	21
2.1. საერთაშორისო ვალდებულებები	23
2.2. საქართველოს მიერ განსახორციელებელი ნაბიჯები.....	25
თავი 3 ელექტროენერგეტიკის სექტორის რეფორმა ევროკავშირის სტანდარტების ჭრილში.....	27
3.1. გამჭვირვალობა და ბაზრის ლიბერალიზაცია.....	27
3.2. კონტრაქტები მიმწოდებელსა და მომხმარებლებს შორის	29
3.3. ენერჯის მოხმარების ზუსტი აღრიცხვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	30
3.4. ფინანსური ანგარიშების გამიჯვნა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.....	31
3.5. ღია და გამჭვირვალე გადართვის წესები.....	32
3.6. ელექტროენერგეტიკული სექტორი.....	32
თავი 4 ენერგო-მარეგულირებელი ორგანო საქართველოში	33
4.1. აღსრულების მექანიზმი	33
4.2. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანო: სსიპ სემეკ-ის როლი და ფუნქციები.....	34
4.3. ინფორმაციის გამჭვირვალობასა და საჯაროობაზე პასუხისმგებელი ორგანოები საქართველოში	40
თავი 5 სამართლებრივი ხარვეზები.....	42
თავი 6 დასკვნები და რეკომენდაციები	44
გამოყენებული ლიტერატურა.....	46

ანოტაცია

სამართლის ბაკალავრის - ვიქტორია-სოფიო ხუციშვილის - სამართლის მაგისტრის წოდების მისანიჭებელი სადიპლომო ნაშრომი თემაზე **„ელექტროენერგეტიკის სექტორში ვერტიკალური განმხოლოების აუცილებლობა“** - ეხმიანება ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრულ საქართველოს ვალდებულებებს ენერგეტიკის სფეროში. კვლევა მიმოიხილავს ევროპის დადგენილ მექანიზმებს ენერგეტიკის სფეროში გამჭვირვალობის და სამართლიანი კონკურენციის ხელშესაწყობად; საქართველოს ენერგოსისტემის მდგომარეობას აღებული ვალდებულებების შესრულების კუთხით. ნაშრომში განხილული და გადამუშავებული თეორიული მასალა და სამართლებრივი დოკუმენტები გაანალიზებულია ევროპული საკანონმდებლო პრიზმით, იდენტიფიცირებულია საქართველოს საკანონმდებლო ხარვეზები და წარმოდგენილია რეკომენდაციები, რათა თავიდან ავიცილოთ მონოპოლია და კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედება ენერგოსისტემის ეროვნულ ბაზრებზე. კვლევის ინტერესს წარმოადგენს ვერტიკალურად ინტეგრირებული მონაწილეების განცალკევების საკითხი, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს სამართლებრივ, ფუნქციურ და ფინანსურ განმხოლოებას. მიმოიხილულია ევროპული დირექტივები და რეგულაციები, რომელნიც განსაზღვრავენ მომხმარებელთა უფლებების დაცვის გარანტიებს **გამჭვირვალობის სახელმწიფო პოლიტიკის არსებობის ფონზე** და, ევროპული სტანდარტები შედარებულია საქართველოს **სახელმწიფო პოლიტიკა** წარმოების, მიწოდების, ქსელური საქმიანობის და ენერჯის შენახვის სფეროებში. საბოლოო ჯამში, სადიპლომო ნაშრომი და წარმოდგენილი სამართლებრივი რეკომენდაციები მოემსახურება საქართველოს ენერგოსისტემის რეფორმის მიმდინარე ეტაპს, საქართველოს ვალდებულებათა შესრულების ეფექტიანობას, რათა ენერგოსისტემის მომხმარებლებმა იცოდნენ ბაზრის მდგომარეობა, შეძლონ თავისუფალი არჩევანის გაკეთება და საკუთარი ინტერესების უკეთ დაცვა. სადიპლომო ნაშრომი მომზადებულია სამართლის მაგისტრის წოდების მისაღებად.

Annotation

The LL.M. diploma thesis by Victoria-Sophio Khutsishvili, LL.B. on "The Necessity of Vertical Unbundling in the Electricity Sector" presented to award her with LL.M. degree. The work responds to Georgia's obligations under the EU legislation in the field of energy. The study reviews European mechanisms for promoting transparency and fair competition in the field of energy and Georgia's energy system in terms of fulfilling its obligations as well. The theoretical material and legal documents discussed and processed in the paper are analyzed by the European legislative prism, the legislative shortcomings of Georgia are identified and recommendations to avoid the monopoly and the anti-competition action at the National Energy markets are developed.

The European Directives and Regulations, which define the protection of consumer rights in the light of the existence of transparency of state policy, and European standards are compared with the state policy of Georgia's policy, supply, networking and energy storage.

Finally, the diploma work and the legal recommendations will serve the current stage of the reform of the Georgian Energy System, the efficiency of fulfillment of Georgia's obligations so that the energy consumers know the market condition, make free choices and better protect their interests. The diploma work has been prepared to obtain a Master's Degree in Law.

შემოკლებათა ნუსხა

კილოვატი საათში, კვტ.სთ;

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (ესკო);

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (სსე);

ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება, The Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA);

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკა, Roadmap to the EU (RM2EU);

„მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია“ (მსო), The World Trade Organization (WTO);

„ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულება“, The Energy Charter Treaty (ECT);

ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება, The General Agreement on Tariffs and Trade (GATT);

Most Favoured Nation (MFN);

National Treatment (NT);

ენერგეტიკის მარეგულირებელთა თანამშრომლობის სააგენტო, Agency for the Cooperation of Energy Regulators (ACER);

სსიპ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია“ (სემეკი);

ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების, Power Purchase Agreement (PPA);

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი).

შესავალი

იურიდიულ მეცნიერებაში ენერგეტიკის სამართლის მიმართულება დღევანდელ დღეს დიდი მოთხოვნით სარგებლობს მსოფლიოში. ეს გაპირობებულია ენერგეტიკის სექტორის როლის გაზრდით, ზოგადად, და, კონკრეტულად - საქართველოში. ბოლო წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საქართველოს ენერგეტიკული სფეროს თანამედროვე სამართლებრივი უზრუნველყოფის სისტემა ცვალებადია და ეს დინამიკა ქვეყნის განვითარების მოთხოვნებს ემყარება.

დღეს საქართველო ენერგეტიკის სფეროს დიდი რეფორმის წინაშე დგას. საქართველოს ეკონომიკაში აქტიურად მიმდინარეობს ნორმატიული აქტების ფორმირების პროცესი, რომელიც ხელს უწყობს ენერგეტიკის სექტორისა და მისი მონაწილე სააგენტოების სამართლებრივი ურთიერთობების რეგლამენტირებასა და ამ ურთიერთობების მოწესრიგებას.

ზემოაღნიშნულს ის ადასტურებს, რომ საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და, ზოგადად, ენერგეტიკული სტრატეგიის განვითარება ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვან ნიშნულს მიუახლოვდა. ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, ექსპერტთა მოსაზრებით, საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესებას ემსახურებოდა და ენერგოუსაფრთხოებასა თუ ენერგოწყაროების დივერსიფიცირებას ისახავს მიზნად.¹

სამთავრობო პროგრამის შესრულების ანგარიშში „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ (2014 წ.)² აწინააღმდეგებს, რომ ენერგეტიკული უსაფრთხოების ხარისხის ამაღლებისა და ენერგოწყაროების დივერსიფიცირების მიზნით გრძელდება მუშაობა დამატებითი თბოელექტროსადგურებისა და ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის პროექტებზე.

საქართველოს ენერგეტიკის სფეროში საქმიანობის ასეთი გააქტიურება, ასევე, თავისი შინაარსით, შესაბამისობაში მოდის ევროპის ენერგეტიკული

¹ “საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში დაგროვილი პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები“, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის, 2012.

<http://www.weg.ge/sites/default/files/challenges-ge.pdf> ბოლოს ნანახია თებერვალი, 2019.

² „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ (2014 წ.) http://gov.ge/files/458_54923_619330_323_45610_377465_mtavrobisangariSiSept2014final.pdf ბოლოს ნანახია ივნისი, 2019 წ.

გაერთიანების ძირითად პრინციპებთან. საქართველო ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების წევრი 2016 წელს გახდა³. მანამდე, საქართველომ ხელი მოაწერა ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას (DCFTA).⁴

ამ ორი ხელშეკრულებით საქართველომ აიღო ვალდებულება, ენერგეტიკის სექტორში განახორციელოს ახალი რეფორმები და საფუძველი ჩაუყაროს ევროპულ ენერგეტიკულ ბაზართან დაახლოებას.⁵

ამჟამად, საქართველოში ელექტროენერჯის ბაზარზე ფასები ბაზრის ყველა მონაწილისთვის შედარებით სტაბილურია. ეს, დიდწილად, გამოიწვია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებამ, რის შედეგად გაიზარდა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ვაჭრობა ექსპორტისა და იმპორტის ხარჯზე და ხელი შეეწყო პოლიტიკის რეფორმებისა და მარეგულირებელი სტანდარტების დაახლოებას ევროკავშირის სტანდარტებთან, რამაც განაპირობა უფრო ღია, სტაბილური და პროგნოზირებადი გარემოს შექმნა.⁶

თუმცა, ენერგეტიკის ექსპერტთა მოსაზრებით, სტაბილური ფასების ბაზრის ამგვარი სტრუქტურის ადაპტირდება არ ხდება ცვალებად გარემოებებთან. ამან კი, შესაძლოა, ელექტროენერჯის წარმოებაში ინვესტიციების შემოდინების ნაკლებობა გამოიწვიოს. ამ შემთხვევაში კი, ინვესტიციების ნაკლებობა, თავის მხრივ, გამოვლინდება ელექტროენერჯის იმპორტის გაზრდის აუცილებლობაში. შედეგად, მოსალოდნელია, რომ სამომხმარებლო ფასები გაიზარდოს.⁷

³ საქართველო ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების წევრი გახდა 2016 წლის 14 ოქტომბერს.

[HTTP://EUGEOGIA.INFO/KA/ARTICLE/496/SAQARTVELO-EVROPIS-ENERGETIKULI-GAERTIANEBIS-WEVRI-GAXDA/](http://EUGEOGIA.INFO/KA/ARTICLE/496/SAQARTVELO-EVROPIS-ENERGETIKULI-GAERTIANEBIS-WEVRI-GAXDA/) ბოლოს ნანახია იანვარი, 2019.

⁴ ხელმოწერა მოხდა 2014 წლის 27 ივნისს, ქ. ბრიუსელში.

<http://www.economy.ge/index.php?page=economy&s=7> ბოლოს ნანახია იანვარი, 2019.

* ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმი.

⁵ ევროპის “ენერგეტიკული გაერთიანება” და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, ანგარიში. 2018 წ. «მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის» (WEG), ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო.

https://ge.boell.org/sites/default/files/reforms_in_energy_sector.pdf ბოლოს ნანახია ივნისი, 2019.

⁶ ანგარიში საქართველოს მიერ ასოცირების პროცესის განხორციელების შესახებ, 2019 წ. ევროკომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტი. https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/2019_association_implementation_report_georgia_ka_2.pdf

ბოლოს ნანახია ივნისი, 2019.

⁷ ‘2018 – A Turning Point for the Georgian Electricity Market?’, Financial, Levan Pavlenishvili, Norberto Pignatti, 2018.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საკმაოდ გაიზარდა საქართველოში ელექტროენერჯის გამომუშავება-მოხმარების სხვაობა - 2012 წლიდან მოყოლებული, გაცილებით მეტი ელექტროენერჯია მოხმარება საქართველოში, ვიდრე გამომუშავდება⁸.

საქართველოს ელექტროენერჯის სექტორის და შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლების დაგეგმილი რეფორმის შესაფასებლად, მნიშვნელოვანია, მიმოვიხილოთ ევროპის მიდგომები და ევროკავშირის სტანდარტები ენერჯეტიკის დარგში. ასეთი მიმოხილვა კარგად დაგვანახებს, სად ვართ დღეს და რა სამართლებრივი საჭიროებებია საქართველოს ელექტროენერჯეტიკის სექტორში განხორციელების რეფორმის ეფექტიანი განხორციელებისთვის.

თავი 1

ევროპის ენერჯეტიკული პოლიტიკის ზოგადი

მიმოხილვა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სწორედ იმისათვის, რომ უკეთ დავინახოთ ენერჯეტიკის სფეროში საქართველოს აღებული ვალდებულებების ლანდშაფტი, საჭიროა, ზოგადად მიმოვიხილოთ ევროპული ენერჯეტიკული პოლიტიკა, რადგან სწორედ ევროპულ ოჯახში ინტეგრაციისკენ უჭირავს გეზი საქართველოს. 2019 წლის გაზაფხულზე საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშავა და საჯაროდ წარადგინა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკა (RM2EU)⁹, რომელიც, ერთი მხრივ, კონსოლიდაციას უკეთებს ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს და, მეორე მხრივ, მასში გაწერილია საქართველოს მომავალი ამბიციური გეგმები, მათ შორის რეფორმები, რომლებიც

⁸ იქვე.

⁹ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკა (RM2EU), საქართველოს მთავრობა, 2019 წ. <http://mfa.gov.ge/News/%E2%80%8B8Bsagza0-ruka-aris-istoriuli-dokumenti-romlis-mizan.aspx> ბოლოს ნანახია ივნისი, 2019 წ.

სცდება ასოცირების შეთანხმებას და ევროკავშირთან უფრო ღრმა ინტეგრაციულ პროცესებს მოიაზრებს.

ამ დოკუმენტით საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ განაცხადა სახელმწიფოს ურყევი ნება, დააჩქაროს და წარმატებული გახადოს საქართველოს ევროპაში ინტეგრაციის გზა.¹⁰

1.1. ევროპის ენერგეტიკული სექტორის განვითარების ეტაპები

ევროპის ენერგეტიკული პოლიტიკის განვითარების ისტორიაში ოთხი ძირითადი ეტაპი შეიძლება გამოიყოს:

1) **პირველი ეტაპი** 1950-იან წლებში იწყება. ამ დროს იწყება ევროპული ქვეყნების ინტეგრირება ევროკავშირში ქვანახშირისა და ფოლადის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც მოჰყვა **ევრატომის შეთანხმება**¹¹. იმ დროს ქვანახშირი და ატომური ენერგია აქტიურად გამოიყენებოდა როგორც ეკონომიკის სექტორებში, ისე - სამხედრო შეიარაღებისთვის. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ევროპის ქვეყნები შეთანხმდნენ, კონტროლი დაეწესებინათ ამ ენერგორესურსებზე და ასეთი შეთანხმება მშვიდობიანი თანაცხოვრების გარანტად ექციათ.¹²

2) **მეორე ეტაპი** 1990-იანი წლებიდან დაიწყო. ამ დროს მსოფლიოში ენერგორესურსებზე დამოკიდებულება შემდეგნაირად გამოიყურება: იხ. გრაფიკი #1


¹⁰ იქვე.

¹¹ ევროკავშირის განვითარების ეტაპები. საქართველო და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი. „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებაში“ შემავალ ექვს ქვეყანას შორის ურთიერთობების სტაბილურმა და პროგრესირებამდა ხასიათმა განაპირობა ის, რომ გადაწყდა შეექმნილიყო „ევროპის ეკონომიკური გაერთიანება“, რომელსაც 1957 წელს რომის ხელშეკრულება დაედო საფუძველად. რომის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი ასპექტი იყო შეთანხმება საერთო ბაზრის შექმნის თაობაზე, რასაც მომავალში საბაჟო კავშირის ჩამოყალიბება უნდა მოჰყოლოდა. რომში ცალკე ხელშეკრულებით დაარსდა ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანება, ე.წ. „ევრატომი“, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ევროპაში ატომური ენერჯის საერთო ბაზრის შექმნა, კერძოდ: ატომური ენერჯის ინდუსტრიის განვითარება, ენერჯის გადანაწილება გაერთიანების წევრ სახელმწიფოებზე და დარჩენილი რესურსის მიყიდვა არაწევრი ქვეყნებისთვის.“

<http://infocenter.gov.ge/45-struqtura.html> ბოლოს ნანახია თებერვალი, 2019.

¹² Langsdorf S., 2011, EU Energy Policy: From the ECSC to the Energy Roadmap 2050. Green European Foundation (GEF), Heinrich-Böll-Stiftung.

http://archive.gef.eu/uploads/media/History_of_EU_energy_policy.pdf ბოლოს ნანახია ივნისი, 2019



გრაფიკი #1: მსოფლიო ელექტროენერჯის წარმოების წყარო¹³.

ევროპის ენერგეტიკული პოლიტიკის განვითარების მეორე ეტაპი, ძირითადად, მოიცავდა ენერგო-ბაზრების ლიბერალიზაციას, (რისი ერთ-ერთი წინაპირობაც არის განმხოლოება), ჰარმონიზაციასა და ერთიანი შიდა ენერგეტიკული ბაზრის განვითარებას. „მესამე მხარის დაშვება ქსელზე, რეგულირება, ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიების განცალკევება და მომხმარებლებისათვის თავისუფალი არჩევანის მიცემა“¹⁴ - გახდა ძირითადი ელემენტები მეორე ეტაპისათვის.

ცნობილია, რომ ენერგეტიკული სისტემის ფუნქციონირება მოიცავს ოთხ ძირითად კომპონენტს. როცა ოთხივე კომპონენტი ერთი მფლობელის (ან საწარმოს) ხელში არის მოქცეული (მნიშვნელობა არ აქვს, იქნება ეს კერძო თუ სახელმწიფო ენერგოკომპანია), მაშინ ასეთ სისტემას ჰქვია ვერტიკალურად ინტეგრირებული სისტემა. ასეთი სისტემის საპირისპიროდ, ენერგეტიკულ სისტემაში შემოიტანეს

¹³ Syd Ball, 2004. This should be a wake up call for the US. www.pmg.org.za/docs/2005/050525pbmr.ppt ბოლოს ნანახია თებერვალი, 2019.
¹⁴ Building the Energy Union. www.ec.europa.eu ბოლოს ნანახია იანვარი, 2019.

განმხოლოების (unbundling) მოდელი, რაც, ენერგო-ბაზრის ლიბერალიზაციის წინაპირობად განიხილება.¹⁵

კონკურენციის შეზღუდვის მიზნით ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიების მიერ თავიანთ ქსელებზე კონტროლის გამოყენების თავიდან ასარიდებლად, ევროკავშირმა წვერი სახელმწიფოებისგან მოითხოვა, განახორციელონ თავიანთი გადაცემისა და განაწილების ქსელების განმხოლოება (განცალკევება) წარმოებისგან. ევროკავშირი გამოყოფს ასეთი განმხოლოების ხუთ ძირითად ტიპს:

1. ერთობლივი საკუთრება არ მოითხოვს განმხოლოებას; ქსელისა და წარმოების საქმიანობები ეკუთვნის და იმართება ერთი და იმავე კომპანიის მიერ.
2. ფინანსური განმხოლოება განმხოლოების ყველაზე მსუბუქი ფორმაა; დამოუკიდებელი საფინანსო ანგარიშები უნდა არსებობდეს ქსელური და წარმოების საქმიანობებისათვის, ჯვარედინი სუბსიდირების თავიდან ასაცილებლად.
3. ფუნქციური განმხოლოება (ასევე წოდებული, როგორც მართვის განმხოლოება) მოითხოვს, რომ, დამოუკიდებელი საფინანსო ანგარიშების არსებობასთან ერთად, მართვის საქმიანობები განცალკევდეს გადაცემისა და წარმოების საქმიანობებისგან.
4. სამართლებრივი განმხოლოება მოითხოვს, რომ გადაცემა და წარმოება განეკუთვნებოდეს სხვადასხვა იურიდიულ პირს.
5. საკუთრებითი განმხოლოება განმხოლოების ყველაზე მძიმე ფორმაა. წარმოება და გადაცემა უნდა ეკუთვნოდეს დამოუკიდებელ იურიდიულ პირებს. ამ იურიდიულ პირებს არ უნდა ჰქონდეთ წილი ორივე საქმიანობაში.¹⁶

3) მესამე ეტაპი 2005 წლიდან დაიწყო. ამ დროს ახალი გამოწვევები გაჩნდა ევროპის ენერგო-პოლიტიკაში: გაიზარდა ევროპის ქვეყნების ენერჯის იმპორტზე დამოკიდებულება, გამოიკვეთა და ინტენსიური გახდა კლიმატის ცვლილება.

¹⁵ ვახანია თ. 2016 წ. საქართველოს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების ანალიზი. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

<http://gip.ge/wp-content/uploads/2016/12/1.pdf> ბოლოს ნანახია ივნისი, 2019.

¹⁶ Silvester van Koten, Andreas Ortman; The Unbundling Regime for Electricity Utilities in the EU: A Case of Legislative and Regulatory Capture?; 4

<https://pdfs.semanticscholar.org/1b3d/c378f3458a73f8aba4002c55f7a77ac0de90.pdf>

ევროპის მასშტაბით ენერგო-ინფრასტრუქტურის განვითარება და ერთიანი ქსელის კოდექსის შექმნის აუცილებლობა აშკარად გამოიკვეთა.

იხ. გრაფიკი #2.



გრაფიკი #2. ევროპის ენერგო პოლიტიკის გამოწვევები: კლიმატის ცვლილება, მიწოდების უსაფრთხოება, ენერგოსაფასური, კონკურენცია ¹⁷.

ამასთან, ენერჯის რესურსების განაწილებასთან დაკავშირებით წარმოიშვა და გააქტიურდა უკრაინა-რუსეთის კონფლიქტი და სხვა სახელმწიფოთაშორისი დაძაბულობები.

სწორედ ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად, ევროკომისიამ ენერგო-კავშირის სტრატეგია შეიმუშავა 2014 წელს.


4) მეოთხე ეტაპი 2015 წლიდან დაიწყო. ეს ეტაპი ევროპაში ენერგო-ტრანზიტის კომპლექსურ პროცესში უფრო დიდი მიზნების მიღწევას ისახავს მიზნად. ასეთ მიზნებად გამოვლინდა: ინოვაციების დანერგვა და ეკონომიკის ყველა სექტორში სუფთა, განახლებად და ენერგო-ეფექტურ ტექნოლოგიებზე გადასვლა. ეს პროცესი

¹⁷ ენერგო პოლიტიკის გამოწვევები. ვიზუალური მასალა. სეპო სილვონენი, 2005, ფინეთი. http://www.lsta.lt/files/events/silvonon_presentation1.ppt ბოლოს ნანახია თებერვალი, 2019.

მოიცავს ერთიანი, შიდა პან-ევროპული ენერგობაზრის ჩამოყალიბებას¹⁸, ნულოვანი (თითქმის ნულოვანი) ენერგომომარების შენობების მშენებლობასა¹⁹ და პარიზის შეთანხმება კლიმატის ცვლილების შესახებ²⁰ მოთხოვნების შესრულებას. ზემოთ მოტანილი ჩამონათვალი ევროპის ენერგოპოლიტიკის მეოთხე ეტაპის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს.²¹

საბოლოოდ, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ევროპის ენერგეტიკული სფეროს განვითარების ეტაპები გრაფიკულად ასე გამოიყურება:

იხ. გრაფიკი #3.



გრაფიკი #3: ევროპის ენერგეტიკული სფეროს განვითარების ეტაპები. სქემის ავტორი: ვ.ს. ხუციშვილი, თებერვალი, 2019 წ.

¹⁸ საქართველო და ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება, ევროინტეგრაციის გამოწვევები. მწვანე ალტერნატივა, 2015 წელი.

http://weg.ge/sites/default/files/sakartvelo_da_evropis_energetikuli_gertianeba-1.pdf ბოლოს ნანახია თებერვალი, 2019.

¹⁹ ენერგოეფექტურობა შენობებში, 2017. “მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის” (WEG) <http://weg.ge/sites/default/files/energoepekturoba-shenobebshi.pdf> ბოლოს ნანახია თებერვალი, 2019

²⁰ პარიზის შეთანხმება კლიმატის ცვლილების შესახებ, 2015 წლის 12 დეკემბერი, ქ. პარიზი. <http://www.moe.gov.ge/ka/parizis-shetanxmeba-klimatis-cvlibebis-shesaxe> ბოლოს ნანახია თებერვალი, 2019.

²¹ რატომ სჭირდება ჰაერივით საქართველოს ევროპის ენერგოგაერთიანებაში გაწევრება [HTTP://EUGEOGIA.INFO/KA/ARTICLE/378/RATOM-SCHIRDEBA-HAERIVIT-SAQARTVELOS-EVROPIS-ENERGOGAERTIANEBASHI-GAWEVREBA/](http://EUGEOGIA.INFO/KA/ARTICLE/378/RATOM-SCHIRDEBA-HAERIVIT-SAQARTVELOS-EVROPIS-ENERGOGAERTIANEBASHI-GAWEVREBA/) ბოლოს ნანახია იანვარი, 2019.

1.2. ევროპის ენერგეტიკული სფეროს მიზნები პრიორიტეტული მიმართულებები

ევროპის ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავება ნელ-ნელა გადავიდა ევროკავშირის ინსტიტუტების კომპეტენციაში. ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების²² (მსგავსად კონსტიტუციისა) 194-ე მუხლი ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითად პრინციპებს აყალიბებს:

- ერთიანი ენერგეტიკული ბაზრის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ენერჯის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ენერგოეფექტურობის ხელშეწყობა და ენერჯის განახლებადი წყაროების განვითარება;
- წვერი ქვეყნების ენერგოინფრასტრუქტურით ურთიერთდაკავშირება.

ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს²³ მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი მიზნები მიმართულია იქეთ, რომ ევროპაში დასრულდეს ეკონომიკის დეკარბონიზაცია, დასრულდეს ენერგეტიკული სისტემების დეცენტრალიზაცია და ენერგეტიკაში ციფრული და „ჰივანი ტექნოლოგიების“ გამოყენება დაიწყოს, რათა გაიზარდოს საიმედოობა და ამაღლდეს მიწოდების უსაფრთხოება.

ევროპის ენერგეტიკული სფეროს ძირითადი და პრიორიტეტული მიმართულებებია რეფორმების ეფექტიანი განხორციელება შემდეგ სფეროებში: შიდა ენერგობაზრის მიმართულებით, განახლებადი ენერჯის განვითარება და გარემოს დაცვის უზრუნველყოფის კუთხით და ენერჯის უფრო ეფექტიანი გამოყენება.

1.3. ევროპის ენერგეტიკული სექტორის სამართლებრივი რეგულაციები

²² Treaty on the Functioning of the European Union (Lisbon, 2007).

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A12012E%2FTXT> ბოლოს ნანახია იანვარი, 2019.

²³ ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნო. Energy Community Secretariat.

<https://www.energy-community.org/aboutus/secretariat/team.html> ბოლოს ნანახია თებერვალი, 2019.

ევროკავშირის ენერგოსექტორში სამართლებრივი ქმედების საერთო საფუძველს წარმოადგენს:

- 1991 წელს მიღებული ენერგეტიკული ქარტია²⁴;
- 1994 წელს მიღებული ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულება²⁵;
- 1996 წელს მიღებული პირველი ენერგეტიკული დირექტივის პაკეტი²⁶;
- 2003 წელს მიღებული მეორე ენერგეტიკული დირექტივის პაკეტი²⁷;
- 2005 წელს ენერგეტიკული გაერთიანების დამაარსებელი ხელშეკრულება²⁸, რომელიც 2006 წელს შევიდა ძალაში;
- 2009 წლის „მესამე ენერგეტიკული დირექტივის პაკეტი“²⁹.

ამ დოკუმენტებს ემატება რიგი სამართლებრივი აქტები და რეგულაციები³⁰, რომლებიც „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის“ (მსო), ევროკომისიისა და

²⁴ The European Energy Charter, <https://energycharter.org/process/european-energy-charter-1991/> ბოლოს ნანახია იანვარი, 2019.

რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 09.12.2004 წლის N 656 – III დადგენილებით; “ენერგეტიკის შესახებ ქარტიის ოქმი ენერგეტიკული ეფექტურობისა და გარემოსთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ”.

²⁵ The Energy Charter Treaty; <https://energycharter.org/process/energy-charter-treaty-1994/energy-charter-treaty/> ბოლოს ნანახია იანვარი, 2019.

²⁶ Directive 96/92/EC of the European Parliament and of the Council of 19 December 1996 concerning common rules for the internal market in electricity;

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A31996L0092>

ბოლოს ნანახია ივნისი, 2019.

²⁷ Directive 2003/54/EC of the European Parliament and of the Council of 26 June 2003 concerning common rules for the internal market in electricity and repealing Directive 96/92/EC - Statements made with regard to decommissioning and waste management activities.

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32003L0054> ბოლოს ნანახია ივნისი, 2019.

²⁸ <https://ec.europa.eu/energy/en/topics/energy-strategy-and-energy-union/building-energy-union> ბოლოს ნანახია იანვარი, 2019.

²⁹ Directive 2009/72/EC of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 concerning common rules for the internal market in electricity and repealing Directive 2003/54/EC (Text with EEA relevance).

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A32009L0072>


ბოლოს ნანახია ივნისი, 2019.

³⁰ “ევროკავშირის კანონმდებლობაში გამოიყენება ასევე რეგულაციები და დირექტივები. რეგულაციებში მოცემული მოთხოვნების გადმოტანა ეროვნულ კანონმდებლობებში სავალდებულოა ყველა წევრი ქვეყნისათვის მისი გამოქვეყნებისთანავე. დირექტივისაგან განსხვავებით, რეგულაციის ინტერპრეტაცია ქვეყნის კანონმდებლობაში მისი ეროვნული გარემოებებიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე დაუშვებელია. შესაბამისად, წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან, რეგულაციებთან და დირექტივებთან ისე რომ არ ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს. კონფლიქტის შემთხვევაში უპირატესობა ხელშეკრულებასა და რეგულაციებს ენიჭებათ.” - ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში. «მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის» (WEG), 2017.

http://weg.ge/sites/default/files/reforms_in_energy_sector_0.pdf ბოლოს ნანახია იანვარი, 2019.

ევროპარლამენტის მიერ მტკიცდება და, შესაბამისად, ევროკავშირის ენერგეტიკულ სფეროში მოქმედი სავალდებულო სამართლებრივი აქტებია.

იხ. გრაფიკი #4.



გრაფიკი #4. ენერგოპოლიტიკა ევროპასა და საქართველოში; სქემის ავტორი: ვ.ს. ხუციშვილი, თებერვალი, 2019 წ.

ევროპის ენერგორესურსებით ვაჭრობის საერთაშორისო რეგულირების ჩარჩოს ქმნის „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის“ (მსო) (WTO) და „ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების“ (ECT) დებულებები.

მსო-ს წევრების მიერ ვერტიკალურად ინტეგრირებული სახელმწიფო კომპანიებისთვის მინიჭებული შეღავათიანი მილსადენების ხელმისაწვდომობის თაობაზე, ენერგეტიკულ ვაჭრობაში არსებული საბაზრო პრაქტიკის არსებულ შეუსაბამობებზე მკაცრი მითითება არსებობს მსო-ს სამართლებრივ დოკუმენტებში, კერძოდ, GATT³¹ მუხლი 1 (MFN)³² და GATT მე-3 მუხლი (NT)³³.

³¹ the General Agreement on Tariffs and Trade (GATT 1947). https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/gatt47_01_e.htm ბოლოს ნანახია ივნისი, 2019.
³² Principles of the trading system: Most Favoured Nation (MFN) is a fundamental principle of the world trading system which is aimed at promoting trade without discrimination. Pursuant to the MFN principle,
 16

ამ რეგულაციებში **გამჭირვალობა** ამოსავალი წერტილია. სავაჭრო ურთიერთობების შესახებ ინფორმაციის ფლობა განაპირობებს სავაჭრო პარტნიორების ურთიერთნდობას. „ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების“ მიხედვით, კონტრაქტორი მხარეები ვალდებული არიან,³⁴ უზრუნველყონ გამჭირვალობა საერთაშორისო ვაჭრობის ყველა სეგმენტში (ენერჯის წარმოება/ექსპორტი, ტრანზიტი, მოხმარება/იმპორტი).

საერთაშორისო სავაჭრო სისტემებისგან განსხვავებით, ევროკავშირის კანონმდებლობა და მისი „მესამე ენერგეტიკული პაკეტი“³⁵, ორიენტირებულია შიდა ბაზრის მოწყობაზე. აქ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება **მომხმარებელთა უფლებების დაცვას**, გამჭირვალობის პარალელურად. შიდა ბაზრის მოწყობისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის განუყოფელი ნაწილებია: სუბსიდირების სქემების გამჭირვალობა, ენერჯის განახლებადი წყაროების განვითარების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული პოლიტიკის ღიაობა, მიმწოდებელსა და მომხმარებლებს შორის კონტრაქტების ხელმისაწვდომობა, ღია და გამჭირვალე ბაზრის და გადართვის წესების არსებობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ენერჯის მოხმარების ზუსტი აღრიცხვის შესახებ და ა.შ.³⁶

პირველი და მეორე ენერგეტიკული პაკეტებისაგან განსხვავებით, მესამე ენერგეტიკული პაკეტი ყურადღებას ამახვილებს შემდეგ მთავარ საკითხებზე:

countries are not permitted to discriminate between their trading partners by making exclusive concessions to one member over the other...

https://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/fact2_e.htm ბოლოს ნანახია ივნისი, 2019.

³³ Principles of the trading system: All WTO members are provided with MFN status and their respective products and services are granted national treatment (NT) to ensure there is no discrimination between foreign and domestic goods amongst trading partners...

https://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/fact2_e.htm ბოლოს ნანახია ივნისი, 2019.

³⁴ Part II: Policy Principles Article 3 Basic Principles (f), The Energy Charter Treaty. ბოლოს ნანახია თებერვალი, 2019.

³⁵ „ევროკავშირის მესამე ენერგეტიკული პაკეტი წარმოადგენს კანონთა ერთობლიობას ევროკავშირის ბუნებრივი გაზისა და ბაზრის შესახებ, „მესამე ენერგეტიკული პაკეტი“ ორიენტირებულია შიდა ბაზრის მოწყობაზე. აქ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მომხმარებელთა უფლებების დაცვას და გამჭირვალობას, რომლის ნაწილებია სუბსიდირების სქემების გამჭირვალობა, ენერჯის განახლებადი წყაროების განვითარების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული პოლიტიკის ღიაობა, მიმწოდებელსა და მომხმარებლებს შორის კონტრაქტების ხელმისაწვდომობა, ღია და გამჭირვალე ბაზრის და გადართვის წესების არსებობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ენერჯის მოხმარების ზუსტი აღრიცხვის შესახებ და ა.შ.“

ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, «მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის» და ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი. 2018.

https://ge.boell.org/sites/default/files/reforms_in_energy_sector.pdf ბოლოს ნანახია ივნისი, 2019.

³⁶ ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, 2017, მ. მარგველაშვილი et al, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის.

https://ge.boell.org/sites/default/files/reforms_in_energy_sector.pdf ბოლოს ნანახია იანვარი, 2019.

- ✓ გამჭვირვალობა;
- ✓ მომხმარებელთა დაცვა;
- ✓ კონკურენციის გაზრდა ენერგეტიკულ ბაზრებზე;
- ✓ დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ჩამოყალიბება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძირითად საკითხთა მოწესრიგება უზრუნველყოფს ევროკავშირის კანონმდებლობის დახვეწას ენერგეტიკული ბაზრების **ლიბერალიზაციისთვის**. ეს, მათ შორის, გულისხმობს, ვერტიკალურად ინტეგრირებული³⁷ კომპანიების არარსებობას და ბუნებრივი-მონოპოლიური და კონკურენტული საქმიანობების გაყოფას.

მესამე ენერგეტიკული პაკეტი მოიცავს ორ დირექტივასა და სამ რეგულაციას, აქედან ელექტროენერჯის მიმართულებითაა 1 დირექტივა და ორი რეგულაცია:

1. 2009/72/EC დირექტივა ელექტროენერჯის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ;
- 1) 714/2009 რეგულაცია ელექტროენერჯით ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის ქსელზე დაშვების შესახებ;
- 2) 713/2009 რეგულაცია ენერგეტიკის მარეგულირებელთა თანამშრომლობის სააგენტოს (ACER) დაფუძნების შესახებ.³⁸


ქვემოთ იხ. სქემა #1:

³⁷ „ვერტიკალური ინტეგრაცია“ მიკროეკონომიკასა და მართვაში განმარტებულია, როგორც პროდუქციის წარმოებისა და მიწოდების ჯაჭვის ერთი კომპანიის ქვემდებარე საქმიანობა. ასე, მაგალითად, ვერტიკალური ინტეგრაცია და მისი დაშვება საქართველოში განმარტებულია საქართველოს 1998 წლის ენერჯისისტიკის კომპანიების პრივატიზების სტრატეგიის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაში. ბრძანებულება ძალადაკარგულად გამოცხადდა 2006 წელს.

„...სტრატეგიულ ინვესტორებს ნება მიეცეთ შეიძინონ როგორც გამანაწილებელი კომპანია, ისე წარმოების საწარმო (ვერტიკალური ინტეგრაცია), რათა გარანტირებულ იქნეს ელექტროენერჯის მიწოდება, ასევე, დასაშვებია ერთი ან რამდენიმე ინვესტორი მართავდეს მთელ გამანაწილებელ სისტემას (ჰორიზონტალური ინტეგრაცია).“

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1239577?publication=0> ბოლოს ნანახია იანვარი, 2019.

³⁸ Directive 2009/73/EC, Chapter IX, Retail Market, Article 45. Directive 2009/72/EC, Chapter X, Retail Market, Article 41.



სქემა #1. ევროკავშირის მესამე ენერგეტიკული პაკეტი. სქემის ავტორი: ვ.ს. ხუციშვილი, თებერვალი, 2019.

მნიშვნელოვანია, განვიხილოთ, თუ როგორ ეხმიანება განმხოლოების საკითხს (საქმიანობის დაყოფას) ევროკავშირის მეორე და მესამე ენერგეტიკული პაკეტები. განმხოლოება აქ შემდეგნაირად რეგულირდება: „ელექტროენერჯის შიდა ბაზრისთვის საერთო წესების შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003 წლის 26 ივნისის 2003/54/EC დირექტივის (შემდგომში - “2003/54/EC დირექტივა”) ფარგლებში, დაყოფა განხორციელდა თანმიმდევრულად, ანგარიშგების, ფუნქციონალური და სამართლებრივი დაყოფის გზით (მეორე პაკეტი). რაც შეეხება მესამე პაკეტის რეგულაციას, კერძოდ, 2009/72/EC დირექტივას, მისი ძირითადი არსი მდგომარეობს საკუთრების ნიშნით დაყოფის განხორციელებაში. დაყოფის აღნიშნული ვალდებულება ვრცელდება როგორც გადამცემი (გადამცემ ქსელზე), ისე - გამანაწილებელი სისტემის ოპერატორზე (გამანაწილებელ ქსელზე).

ვერტიკალური განმხოლოების თემატიკა აქტუალური გახდა იქიდან გამომდინარე, რომ ქსელის დამოუკიდებლობა და ქსელზე მესამე მხარის მიუკერძოებელი დაშვება უმნიშვნელოვანესია ელექტროენერგეტიკულ ბიზნესში ჩართული სუბიექტებისათვის.³⁹ სწორედ ვერტიკალური განმხოლოების დანერგვა წარმოადგენს ბაზრის ლიბერალიზაციის ერთ-ერთ მთავარ საფუძველს. ვერტიკალური განმხოლოების შედეგად ელექტროენერგეტიკის ბაზარზე იზრდება კონკურენცია და გამჭვირვალობა, რაც ეფექტიანს ხდის მართვას და იცავს მომხმარებლის უფლებებს.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ევროკავშირის კანონმდებლობა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს **ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოზე, როგორც სექტორის მარეგულირებელ ინსტიტუტზე.**

2009/72/EC და 2009/73/EC დირექტივების კონკრეტული თავები სწორედ ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს ეხება. აღნიშნული დირექტივების თანახმად, უნდა არსებობდეს ერთი მარეგულირებელი ორგანო, რომელიც იქნება დამოუკიდებელი, ექნება ტარიფების დადგენის უფლებამოსილება, განახორციელებს ენერგეტიკული ბაზრების მონიტორინგს, მიიღებს სავალდებულო ხასიათის მქონე გადაწყვეტილებებს და გამოიყენებს კონკრეტული სახის სანქციებს, ასევე მას ექნება ინფორმაციის მიღების, საგამომიებო მოქმედებების ჩატარებისა და ინვესტიციების დამტკიცების უფლებამოსილება. გარდა ამისა, შესაძლებელი უნდა იყოს მარეგულირებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება.

ევროკავშირმა მომდევნო წლებში, მესამე ენერგეტიკული პაკეტის მიღების შემდეგ ყურადღება გაამახვილა სხვა ისეთ საკითხებზე, რომელთა დახვეწა უფრო გაზრდის ენერგეტიკის სექტორის ეფექტიანობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ინფორმაციის მიმართულებით დირექტივებისა და რეგულაციათა განვითარება სექტორში.

ევროკავშირის **სტატისტიკის დირექტივები ენერგეტიკული ინფორმაციის გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით რეგულირდება ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს შემდეგი რეგულაციებით:**

³⁹ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, 2015 წლის ანგარიში, თბ., 2016, გვ. 18.
<http://gnerc.org/ge/siakhleebi/komisiis-2015-tslis-saqmianobis-angarishi/17781> ბოლოს ნანახია, ივლისი, 2019 წ.

- რეგულაცია 2016/1952 (2016 წლის 26 ოქტომბერი) “გაზის და ელექტროენერჯის ფასების გამჭვირვალობის შესახებ”;

მიზნად ისახავს გაზის და ელექტროენერჯის ფასების შესახებ ინფორმაციაზე გამჭვირვალობის გაუმჯობესებას და განსაზღვრავს ზოგად საფუძვლებს წელიწადში ორჯერ შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების წარმოების, გავრცელებისა და საჯაროობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

- რეგულაცია 1099/2008 (2008 წლის 22 ოქტომბერი) “ენერგეტიკის სტატისტიკის შესახებ”;

ითვალისწინებს ყოველწლიური, ყოველთვიური და მოკლევადიანი ენერგეტიკის სტატისტიკის წარმოებას, გავრცელებას და საჯაროობის უზრუნველყოფას დაგენილი ფორმატითა და პერიოდულობით.

- რეგულაცია 431/2014 (2014 წლის 24 აპრილი) “ენერგორესურსების მოხმარება შინამეურნეობებში”.

განსაზღვრავს შინამეურნეობებში ენერგორესურსების საბოლოო მოხმარების შესახებ წლიური პერიოდულობის სტატისტიკურ მონაცემთა წარმოებისა და გავრცელების საკითხებს.

2017 წლის თებერვალში ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნომ მოამზადა ენერგეტიკის შესახებ კანონპროექტი⁴⁰, რომელიც განსაზღვრავს ელექტროენერჯეტიკის რეგულირების ახალ პრინციპებს. კანონპროექტის მიხედვით, უნდა გაიმიჯნოს ქსელური და მიწოდების საქმიანობა და უნდა შემუშავდეს ქსელზე დაშვების არადისკრიმინაციული წესები.

თავი 2

საქართველოს ელექტროენერჯეტიკის სექტორი

საქართველოს ელექტროენერჯეტიკის სექტორი რეგულირებულია შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

⁴⁰ ევროპის “ენერგეტიკული გაერთიანება” და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, ანგარიში. 2018 წ. «მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის» (WEG), ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო. გვ. 5.

https://ge.boell.org/sites/default/files/reforms_in_energy_sector.pdf

- 2015 წლის საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე⁴¹;
- 2002 წლის საქართველოს კანონი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ⁴²;
- 1997 წლის საქართველოს კანონი ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ⁴³;
- კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:
 - ✓ მინისტრის ბრძანებები,
 - ✓ სემეკი-ს დებულება, დადგენილებები და გადაწყვეტილებები.

ელექტროენერგეტიკის სფეროს ინსტიტუციურ უზრუნველყოფას შემდეგი ორგანოები ახორციელებენ:

- საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, ენერგეტიკული პოლიტიკის დეპარტამენტი⁴⁴;
- სსიპ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია“ (სემეკი)⁴⁵;
- სს „ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი“⁴⁶ (საიდენტიფიკაციო კოდი №205170036), რომელიც კვალიფიციური საწარმოების მოთხოვნათა დაბალანსების მიზნით ყიდულობს და ყიდის საბალანსო ელექტროენერგიასა და გარანტირებულ სიმძლავრეს;

⁴¹ საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე,

საქართველოს პარლამენტი, 24/06/2015, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2894951?publication=0> ბოლოს ნანახია თებერვალი, 2019.

⁴² საქართველოს კანონი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ, საქართველოს პარლამენტი, 13/09/2002, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/14062?publication=23> ბოლოს ნანახია თებერვალი, 2019.

⁴³ საქართველოს კანონი ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ, საქართველოს პარლამენტი, 27/06/1997, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31744?publication=46#!> ბოლოს ნანახია თებერვალი, 2019.


⁴⁴ საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, <http://www.economy.ge/?page=structure>

⁴⁵ სსიპ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია“ (სემეკი) <http://www.gnerc.org/> ბოლოს ნანახია თებერვალი, 2019.

⁴⁶ ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი <https://esco.ge/ka> ბოლოს ნანახია თებერვალი, 2019

- სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (სსე)⁴⁷ — სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი სააქციო საზოგადოება, რომელიც უზრუნველყოფს ელექტროენერჯის გადაცემას (ტრანსპორტირებას, ტრანზიტს) ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

იხ. სქემა #2



სქემა #2: საქართველოს ენერჯეტიკის სექტორის ინსტიტუციური უზრუნველყოფა. სქემის ავტორი: ვ.ს. ხუციშვილი, თებერვალი, 2019.

2.1. საერთაშორისო ვალდებულებები

საქართველომ ორი საერთაშორისო ხელშეკრულებით აიღო ვალდებულება, განახორციელოს ახალი რეფორმები ენერჯეტიკის სექტორში და საფუძველი ჩაუყაროს ევროპულ ენერჯეტიკულ ბაზართან დაახლოებას. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ენერჯეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებაზე მიერთების ოქმზე ხელმოწერის

⁴⁷ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ http://www.gse.com.ge/home_ge ბოლოს ნანახია თებერვალი, 2019.

შედეგად საქართველომ საკუთარი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ვალდებულებათა შესრულება დაიწყო.⁴⁸

საქართველო ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების წევრი 2016 წელს გახდა⁴⁹. მანამდე კი, 2014 წელს, ხელი მოაწერა ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას (DCFTA).⁵⁰

გასათვალისწინებელია, რომ საქართველო, როგორც ენერგეტიკული ქარტიის (2015 წლიდან), ასევე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრია (2000 წლიდან)⁵¹, შესაბამისად, მან, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა შეასრულოს ენერგოსექტორის გამჭვირვალობასთან დაკავშირებული მოთხოვნები. საქართველოსთვის აღნიშნული ვალდებულებების შესრულების ვადების გრაფიკი⁵² ასე გამოიყურება (იხ. ცხრილი #1). „ენერგეტიკულ გაერთიანებაში“ საქართველოს გაწევრიანების თაობაზე გამართული მოლაპარაკებების შედეგად, ხელი მოეწერა #1 ოქმს⁵³, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია საქართველოს ვალდებულებებზე ელექტროენერჯის სექტორის მიმართულებით.

ცხრილი #1.

⁴⁸ ა. ონაშვილი, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია. 2017. ჰეინრიხ ბიოლის ფონდი საქართველოში;

⁴⁹ საქართველო ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების წევრი გახდა 2016 წლის 14 ოქტომბერს. [HTTP://EUGEOGIA.INFO/KA/ARTICLE/496/SAQARTVELO-EVROPIS-ENERGETIKULI-GAERTIANEBIS-WEVRI-GAXDA/](http://EUGEOGIA.INFO/KA/ARTICLE/496/SAQARTVELO-EVROPIS-ENERGETIKULI-GAERTIANEBIS-WEVRI-GAXDA/) ბოლოს ნანახია იანვარი, 2019.

⁵⁰ საქართველოს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაზე (DCFTA) ხელმოწერა მოხდა 2014 წლის 27 ივნისს, ქ. ბრიუსელში.

<http://www.economy.ge/index.php?page=economy&s=7> ბოლოს ნანახია იანვარი, 2019.

⁵¹ “1996 წელს საქართველომ გაწევრიანების თხოვნით მიმართა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას. გაერთიანების ოქმს ხელი მოეწერა 1999 წლის 6 ოქტომბერს, ხოლო პარლამენტის მიერ ამ აქტის რატიფიკაციის შემდეგ 2000 წლის 14 ივნისიდან საქართველო გახდა WTO-ს სრულფასოვანი 137-ე წევრი”.

საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი მიმოხილვა და მათი თანამშრომლობა საქართველოსთან, 2005, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია.

<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-01-1-0utfZz-8-10&cl=CL2.20&d=HASH17980266a54300d1658d08.1>=1> ბოლოს ნანახია იანვარი, 2019.

⁵² ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, 2017, მ. მარგველაშვილი et al, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის.

https://ge.boell.org/sites/default/files/reforms_in_energy_sector.pdf

⁵³ ქ.სარაევო, 14 ოქტომბერი, 2016 წელი, ოქმი #1 <http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Energetikuli%20Gaertianebis%20Damfudznebel%20Khelshekrulebastansakartvelos%20Sheertebis%20Shesakhebs%20Okmi%201454%20geo.pdf> ბოლოს ნანახია იანვარი, 2019.

* ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმი.

ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულება (მუხლი 194) - ენერგეტიკა	ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებით საქართველოსთვის სავალდებულო რეგულაციები და დირექტივები*
ერთიანი ენერგეტიკული ბაზრის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;	1. დირექტივა 2009/72/ეკ ელ-ენერჯის შიდა ბაზრისთვის საერთო წესების შესახებ (31 დეკ.2018); 2. რეგულაცია 714/2009 (ეკ) ელ-ენერჯის ტრანსსასაზღვრო გაცვლის სისტემებზე დაშვების პირობების შესახებ (31 დეკ.2018); 3. დირექტივა 2008/92/ეკ საბოლოო მომხმარებლისთვის გაზისა და ელ.ენერჯის ფასების გამჭვირვალობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით (31 დეკ.2017);
ენერჯის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;	1. დირექტივა 2005/89/ეკ ელ.ენერჯის მიწოდების და ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების შესახებ (31 დეკ. 2019);
ენერგოეფექტურობის ხელშეწყობა და ენერჯის განახლებადი წყაროების განვითარება;	1. დირექტივა 2012/27/ეკ ენერგოეფექტურობის შესახებ (31 დეკ. 2018); 2. დირექტივა 2010/31/ეკ შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ (30 ივნისი, 2019); 3. დირექტივა 2010/30/ეკ ეტიკეტირების და პროდუქციის შესახებ სხვა სტანდარტული ინფორმაციის მითითებით (31 დეკ.2018); 4. დირექტივა 2009/28/ეკ განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ენერჯის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ (31 დეკ. 2018);
წევრი ქვეყნების ენერგოინფრასტრუქტურით ურთიერთდაკავშირება.	1. რეგულაცია 714/2009 (ეკ) ელ.ენერჯის ტრანსსასაზღვრო გაცვლის სისტემებზე დაშვების პირობების შესახებ (31 დეკ. 2018)

ცხრილი#1: ენერგოსექტორის გამჭვირვალობასთან დაკავშირებული მოთხოვნები საქართველოსთვის.

2.2. საქართველოს მიერ განსახორციელებელი ნაბიჯები

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დადებით 2021 წლამდე რიგი ევროპული დირექტივების შესრულება და დანერგვა იკისრა, მათ შორის არის ელექტროენერჯის ბაზარზე

ცვლილებების განხორციელების ვალდებულება (2009/72/EC დირექტივა). ამ მიზნით საქართველოს მიერ გადასადგმელი ნაბიჯებია⁵⁴:

1. ვერტიკალურად ინტეგრირებული ენერჯის მწარმოებელი და გამანაწილებელი კომპანიების განმხოლოება;
2. მოქმედი სავაჭრო მექანიზმის ჩამოყალიბება, რათა მესამე პირებს ბაზარზე შემოსვლის საშუალება ჰქონდეთ;
3. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ელექტროსადგურების პრივატიზება;
4. ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების (PPA)⁵⁵ მაგივრად ინვესტორებისათვის ალტერნატიული გარანტიების შეთავაზება.

საყურადღებოა, რომ აღნიშნულიდან მხოლოდ რომელიმე მიმართულებით საქმიანობის განხორციელება საკმარისი არ არის, რადგან მნიშვნელოვანია სისტემური მიდგომა და ამ სიახლეთა ერთობლიობაში დანერგვა, რათა ელექტროენერჯის წარმოებაში ინვესტორებისათვის მიმზიდველი გარემო შეიქმნას⁵⁶.

რაც შეეხება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ელექტროსადგურების პრივატიზებას, რიგი ექსპერტებისა მიიჩნევს, რომ სადავოა ენგურჰესისა და ვარდნილჰესის საკითხი, რადგან ისინი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვარზე მდებარეობენ და მათი პრივატიზება სირთულესთან არის დაკავშირებული პოლიტიკური მიზეზების გამო⁵⁷.

აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის 1992 წელს დადებული შეთანხმებით დარეგულირდა ენგურჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის განაწილების საკითხი⁵⁸. იმ შეთანხმებით

⁵⁴ იქვე.

⁵⁵ „ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვა ენერჯეტიკის სამინისტროსა და კერძო მფლობელობაში არსებულ ჰიდროელექტროსადგურებს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ერთ-ერთი კომპონენტია.“, ფონდი ღია საზოგადოება, საქართველო, 2017. ყველაფერი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესახებ;

<http://eugeorgia.info/ka/article/670/eleqtroenergiis-garantirebuli-shesyidvis-xelshekrulebebi-rogorc-fiskaluri-riskis-wyaro/> ბოლოს ნანახია თებერვალი, 2019.

⁵⁶ იქვე.

⁵⁷ ‘2018 – A Turning Point for the Georgian Electricity Market?’, Financial, Levan Pavlenishvili, Norberto Pignatti, 2018.

⁵⁸ დ. მირცხულავა, 2018. „ზოგიერთი მოსაზრება 2030 წლამდე საქართველოს ენერჯეტიკის ინტენსიურ განვითარებასთან დაკავშირებით“. საქართველო-რუსეთი: ურთიერთობები: ენერჯეტიკა, ეკონომიკა, უსაფრთხოება, გეოპოლიტიკა, მიგრაცია და კულტურა; კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ICCN).

გადაწყდა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა მოიხმარდა გამომუშავებული ელექტროენერჯის 40%-ს, ხოლო საქართველო - 60%-ს. ეს შეთანხმება დიდი ხანია დარღვეულია. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოიხმარენ ენგურჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის თითქმის 80-90%-ს (სეზონის მიხედვით), საქართველოს დანარჩენი ტერიტორია კი ვეღარ მოიხმარს შეთანხმებულ ნაწილს ენგურჰესით გამომუშავებული ელექტროენერჯიდან. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: ერთ-ერთი მიზეზი ის გახლავთ, რომ აფხაზეთში ელექტროგამანაწილებელი სისტემა მოშლილი და დაზიანებულია. ექსპერტთა შეფასებით, საქართველომ რომ დაიწყოს ენგურჰესის გამომუშავებული ელექტროენერჯის შეთანხმებული 60%-ის მოხმარება, ელექტროენერჯის სამომხმარებლო ფასები გაცილებით დაიკლებს საქართველოში⁵⁹.

თავი 3

ელექტროენერჯეტიკის სექტორის რეფორმა

ევროკავშირის სტანდარტების ჭრილში

ცხადია, რომ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებისა და ენერჯეტიკული გაერთიანების გაწევრიანების ოქმით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება ენერჯეტიკის სექტორში მნიშვნელოვან რეფორმებს ითვალისწინებს. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოთაღნიშნულ ვალდებულებათა შესრულებისთვის დაწესებულია მჭიდრო ვადები, საქართველო და ქვეყნის ენერჯეტიკის სექტორი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას.

3.1. გამჭვირვალობა და ბაზრის ლიბერალიზაცია

სექტორის რეფორმაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ენერჯეტიკული სექტორის გამჭვირვალობა და ბაზრების ლიბერალიზაცია. მიმწოდებელთან კონტრაქტების პირობებისა და სტანდარტების ერთიანი მიდგომისა და სისტემების მოწესრიგება,

⁵⁹ იქვე.

სუბსიდირების მექანიზმების გამართვა და სხვ., რაც ინფორმაციისა და მონაცემების გამჭვირვალობის გარეშე ვერ განხორციელდება.

საქართველოს ენერგეტიკის სექტორში ინფორმაციის გამჭვირვალობის კუთხით მნიშვნელოვანი პრობლემები არსებობს. რიგი მკვლევრების აზრით, საქართველოში, ხშირად, ინფორმაცია დახურულია კომერციული საიდუმლოების მოტივით. არსებობს შეხედულებაც, რომ ბაზარი არაკონკურენტულია და ამ პირობებში, ინფორმაციის დახურვა ემსახურება არა კომერციულად მგრძნობიერე ინფორმაციის დაცვას, არამედ ბაზრის მონაწილის უპირატესობის შენარჩუნებას და გადაწყვეტილებების ხელმიუწვდომლობას მოქალაქეთათვის.

ენერგეტიკის სფეროში რეფორმებისა და ცვლილებების გატარებისას, საქართველოს ევალება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს შემდეგს:

- 1) ფასწარმოებისა და მონაცემების გამჭვირვალობას;
- 2) მომპოვებლის/მომწოდებლის/შემნახველის ერთმანეთისგან განცალკევებას;
- 3) მომხმარებლისა და მოწყვლადი სოციალური ჯგუფების უფლებების დაცვას;
- 4) გარემოს ევროპული სტანდარტების დაცვას;
- 5) გამჭვირვალე კონკურენციისა და მომარაგების უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ექსპერტთა და მკვლევართა შეფასებით, საქართველოს ელექტროენერგეტიკის ბაზარი საკმაოდ განსხვავდება თავისუფალი, კონკურენტული გარემოსგან. საქართველოში მხოლოდ ნაწილობრივ მოქმედებს კონკურენტული ენერგეტიკული ბაზრებისთვის დამახასიათებელი **მონაწილეთა ინტერესების დაცვის მექანიზმები**, ამიტომ, აუცილებელი ხდება მეტი გამჭვირვალობის დანერგვა სახელმწიფო საწარმოებისა და ეკონომიკის სამინისტროს საქმიანობაში, რადგან ისინი აკონტროლებენ ელექტრობის ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილს⁶⁰.

მნიშვნელოვანია, რომ მაქსიმალური ძალისხმევა იქით წარიმართოს, რომ ენერგეტიკულ ბაზრებზე ჩამოყალიბდეს და ამოქმედდეს რეალური კონკურენციის მექანიზმები და მოხდეს მათი მკაცრი გამიჯვნა ბუნებრივად მონოპოლიური საქმიანობისგან.

⁶⁰ რას ითხოვს ჩვენგან ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება; <http://eugeorgia.info/ka/article/380/ras-itxovs-chvengan-evropis-energetikuli-gaertianeba/> ბოლოს ნანახია იანვარი, 2019.

ამ ამოცანათა შესასრულებლად, მნიშვნელოვანია, დაჩქარდეს რეფორმები საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების და ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების ხელშეკრულებების შესაბამისად, რაც სექტორის გამჭვირვალობის, სტაბილურობის და განვითარების პირობებს შექმნის.

3.2. კონტრაქტები მიმწოდებელსა და მომხმარებლებს შორის

მომხმარებლებს უფლება აქვთ, ჰქონდეთ სრული ინფორმაცია იმ პროდუქტისა და სერვისის მთავარი მახასიათებლების შესახებ (ფასისა და გადასახადების ჩათვლით), რომლითაც ისინი სარგებლობენ. ელექტროენერგეტიკის ბაზრის დირექტივების ერთერთი მთავარი მოთხოვნა არის, რომ მიმწოდებლებმა უზრუნველყონ მომხმარებლების ინფორმირება ენერჯის მოხმარებაზე, ღირებულებაზე, ფასებზე, ტარიფებზე, გადახდის მეთოდებზე, სერვისის ხარისხის და დავების მოგვარების მექანიზმებზე და სხვ. შესაბამისად, მიმწოდებელსა და მომხმარებლებს შორის კონტრაქტების პირობები და სტანდარტები უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე.

საქართველოში ელექტროენერგეტიკის კუთხით მიმწოდებელსა და მომხმარებლებს შორის ურთიერთობას არეგულირებს სსიპ სემეკი-ს დადგენილება „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ დამტკიცების შესახებ“. დადგენილების მიხედვით, ქსელზე მიერთების მსურველი, ანუ განმცხადებელი, ვალდებულია, გამანაწილებელ ქსელზე მიერთების მოთხოვნით მიმართოს შესაბამის განაწილების ლიცენზიანტს (მუხლი 26-2).⁶¹

ფორმალური პროცედურების დასრულების შემდეგ, მიერთების მსურველს, ანუ განმცხადებელს და ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიანტს შორის ფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში დეტალურად არის დადგენილი მომხმარებელსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთობის და საფასურის გადახდის წესები და პირობები. გარდა ამისა, გამანაწილებელი კომპანიები („თელასი“ და „ენერგო-პრო ჯორჯია“) მომხმარებლებს თავიანთი ვებ-გვერდების საშუალებით აწვდიან დეტალურ ინფორმაციას ქსელზე მიერთების

⁶¹ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება №19 2011 წლის 16 ნოემბერი.

წესების შესახებ. ვებ-გვერდებზე ხელმისაწვდომია ასევე ინფორმაცია მიერთების საფასურისა და ვადების შესახებ სიმძლავრეების მიხედვით.

3.3. ენერჯის მოხმარების ზუსტი აღრიცხვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ევროკავშირის ელექტროენერჯის ბაზრის შესახებ ენერჯეტიკული კანონმდებლობისა და ენერჯოეფექტურობის დირექტივის მიხედვით, მომხმარებელს, ასევე, უფლება აქვს, ჰქონდეს ინფორმაცია საკუთარი მოხმარების ზუსტი აღრიცხვის შესახებ. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მომხმარებელმა შეიძლება იფიქროს ენერჯის მოხმარების შემცირებაზე ან გამოიყენოს იგი სხვა, ანალოგიურ სერვისებთან შედარებისა და ხარისხის შესაფასებლად. ამ მიმართულებით, დიდ როლს თამაშობს ენერჯის ე.წ. “ჭკვიანი სისტემები”, რომლითაც შესაძლებელია ენერჯის რეალურ დროში აღრიცხვაც და ფასებისა და მოხმარების შესახებ ინფორმაციის მიღებაც. აქედან გამომდინარე, ენერჯეტიკულ სისტემებში მონაცემთა შეგროვების, დამუშავებისა და ამ მონაცემებზე მომხმარებელთა წვდომის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ისეთი სისტემების დანერგვას, რომელიც ახლოსაა ენერჯის მოხმარების ჭკვიან აღრიცხვასთან.⁶²

საქართველოში მომხმარებლის ინფორმირება საკუთარი მოხმარების აღრიცხვის შესახებ ელექტროენერჯეტიკის სექტორში ხორციელდება გამჭვირვალედ, მიმწოდებელი კომპანიების მიერ ყოველთვიურად დაგზავნილი ქვითრებით. ქვითრებზე მოცემულია ინფორმაცია მოხმარებული ენერჯის რაოდენობისა და ფასის შესახებ, როგორც ყოველ მოხმარებულ ერთეულზე, ისე - ჯამურად ერთი თვის განმავლობაში. ტარიფის შესახებ ინფორმაცია კომპონენტების მიხედვით ხელმისაწვდომია სემეკი-ს წლიურ ანგარიშებსა და ტარიფების საჯარო განხილვის სხდომებზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში. სამომავლოდ, საქართველოში იგეგმება აღნიშნული ინფორმაციის განთავსება სამომხმარებლო ქვითრებზე. ეს მომხმარებლებს უფრო სრულყოფილ ინფორმაციას მიაწვდის მათ მიერ მიღებული მომსახურების შესახებ. ხოლო რაც შეეხება „ჭკვიანი მრიცხველების სისტემას“,

⁶² მუხლი 9, დირექტივა 2012/27/EU.

რომელიც საათობრივად ანგარიშობს მოხმარებული ენერჯის ღირებულებას, სამწუხაროდ, საქართველოში მსგავსი პრაქტიკა ჯერ არ არის დანერგილი, რადგან ენერჯიაზე ფასი დღის მანძილზე ერთნაირია ყველა მომხმარებლისათვის.

3.4. ფინანსური ანგარიშების გამიჯვნა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ინფორმაცია ენერგოკომპანიების შემოსავლების შესახებ აუცილებელია, რომ ხელმისაწვდომი იყოს, რათა მარეგულირებლებმა, ბაზრის მონაწილეებმა და მომხმარებლებმა თავად შეაფასონ ბაზრის ღიაობა, სამართლიანობა, კონკურენტუნარიანობა და დაცულობა. აუცილებელია საწარმოების მიერ გადაცემის, განაწილების, მიწოდებისა და ენერჯის საცავებთან დაკავშირებული საქმიანობების ანგარიშების გამიჯვნა და ცალ-ცალკე აღრიცხვა⁶³. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოებისათვის მონიტორინგის მიზნით. ანგარიშები უნდა მოიცავდეს დეტალურ ინფორმაციას, მათ შორის, საწარმოების მოგება-ზარალის, აქტივების, ვალდებულებების, ხარჯების, ქსელის საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების ჩათვლით და ა.შ.

ამ კუთხით, საქართველოში მარეგულირებელი კომისია (სემეკი) სრულად იღებს ინფორმაციას მისი რეგულირების ქვეშ მყოფი ლიცენზიანტების ფინანსური მდგომარეობის შესახებ. კომპანიები ფინანსურ ანგარიშებს წარადგენენ ყოველწლიურად. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით ხდება ტარიფის გაანგარიშება და დადგენა. ანგარიშებში თავმოყრილია ინფორმაცია გადაცემის და განაწილების კომპონენტების შესახებ. ეს გამორიცხავს ჯვარედინი სუბსიდირების არსებობას. თუმცა, ბაზრის გამჭვირვალობის გასაუმჯობესებლად, ანგარიშების აღრიცხვასთან ერთად, უმჯობესია, საწარმოების მიერ ვაჭრობის შესახებ ინფორმაციის წინასწარი და შემდგომი გამოქვეყნება. ეს ხელს შეუწყობს არადისკრიმინაციული ფასების დადგენას, აღკვეთს გაუმჭვირვალობისა და ბაზარზე არაკეთილსინდისიერ პრაქტიკას. ამ მიმართულებით ელექტროენერგეტიკული ბაზის ოპერატორი

⁶³ Chapter VII, Unbundling and Transparency of Accounts. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/GA/ALL/?uri=CELEX%3A32003L0055> ბოლოს ნანახია თებერვალი, 2019.

(ესკო)⁶⁴ რეგულარულად აქვეყნებს ელექტროენერჯის საბალანსო ბაზრის მონაცემებს თვეების მიხედვით.

3.5. ღია და გამჭვირვალე გადართვის წესები

ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით, საცალო ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანია მომხმარებლებს ჰქონდეთ სხვადასხვა მიმწოდებელს შორის არჩევანის თავისუფლება, ამისათვის კი საჭიროა, მათ გააჩნდეთ წვდომა ღია და გამჭვირვალე გადართვის წესებზე, რომლის შემუშავებაზე და განხორციელების მონიტორინგზე პასუხისმგებელია მარეგულირებელი ორგანო.

საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს #77 ბრძანების⁶⁵ მიხედვით „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“, ელექტროენერჯის მყიდველს უფლება აქვს გახდეს პირდაპირი მომხმარებელი და ელექტროენერჯია შეისყიდოს ელექტროენერჯის ნებისმიერი გამყიდველისგან, თუ მისი წლიური მოხმარება შეადგენს არანაკლებ 1 კვტ/სთ ელექტროენერჯიას (მუხლი 31)⁶⁶, თუმცა, პრაქტიკაში ამ პირობის შესრულება შეუძლებელია, რადგან ბაზარზე არ არის რამდენიმე გამყიდველი, რომლებიც შესაძლებლობას მისცემდნენ მომხმარებლებს, შეესყიდათ ელექტროენერჯია. დღეისათვის ელექტროენერჯის მიწოდების ლიცენზია თბილისში აქვს სს „თელას“-ს, ხოლო რეგიონებში სს „ენერჯო-პრო ჯორჯია“-ს, შესაბამისად, მომხმარებელი არჩევანის გარეშეა დარჩენილი.

3.6. ელექტროენერჯეტიკული სექტორი

საქართველოში ენერჯეტიკული ბაზარი ჯერჯერობით არ ემყარება კონკურენციის პრინციპებს. გამანაწილებელი კომპანიები იმავდროულად მიმწოდებლებიც არიან. ამ ვითარებაში მომხმარებელს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა არ აქვს.

⁶⁴ ელექტროენერჯეტიკული ბაზის ოპერატორი (ესკო) <http://esco.ge/ka> ბოლოს ნანახია თებერვალი, 2019.

⁶⁵ საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს #77 ბრძანება. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2956698?publication=0> ბოლოს ნანახია იანვარი, 2019.

⁶⁶ იქვე.

ელექტროენერგეტიკულ სექტორში ქსელური და კონკურენტული საქმიანობის გაყოფა ეხება როგორც მაღალი ძაბვის გადამცემ ქსელებს, ისე - გამანაწილებელ ქსელებს.

მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელების შემთხვევაში იგულისხმება საკუთრებითი გამიჯვნა გადაცემის და წარმოება/მიწოდების საწარმოებს შორის. გამანაწილებელი ქსელის შემთხვევაში კი, შესაძლებელია ამ საქმიანობათა ე.წ. სამართლებრივი გამიჯვნაც; აუცილებელია, რომ „შეთავსებელი“ საქმიანობები ხორციელდებოდეს სხვადასხვა იურიდიული პირის მიერ, თუმცა, დასაშვებია მათ ერთი მფლობელი ჰყავდეს.

მაგალითად, სააქციო საზოგადოება “თელასი“ არის გამანაწილებელი (ქსელის ოპერირება/განვითარება, აღრიცხვა და სხვ.). იმავდროულად, თელასი მიმწოდებელიცაა და ყიდის მის მიერ მიწოდებულ ენერგიას. ეს მდგომარეობა უნდა შეიცვალოს: თელასმა უნდა განახორციელოს განაწილების საქმიანობა, ხოლო თავისი ქსელით ელექტროენერჯის გაყიდვის საშუალება უნდა მისცეს ბაზარზე არსებულ სხვა კომპანიებს.

რეფორმების განხორციელებისა და ევროკავშირის დირექტივების დანერგვის პარალელურად, ბაზრები უნდა გაიხსნა და მომხმარებლებს არჩევანის გაკეთების საშუალება უნდა მიეცეთ. ამისათვის ისეთი სამართლებრივი მექანიზმებია დასამუშავებელი, რომლებიც ენერგოკომპანიებთან დადებული გრძელვადიანი მემორანდუმების მოქმედების პირობებში ამუშავდება.

თავი 4

ენერგო-მარეგულირებელი ორგანო საქართველოში

4.1. აღსრულების მექანიზმი

მარეგულირებელი ორგანოების როლი, ეფექტიანი აღსრულება - გადაწყვეტი შემადგენელია სწორი რეგულირების სისტემის არსებობისთვის. ევროკავშირის დირექტივები წამყვან როლს ანიჭებენ მარეგულირებელ ორგანოებს, რომელთაც უნდა ჰქონდეთ სათანადო უფლებამოსილება და ტექნიკური შესაძლებლობები,

რათა დამოუკიდებლად გაუწიონ მონიტორინგი ბაზრის სუბიექტების მიერ გამჭვირვალობისა და კონკურენციის პრინციპების დაცვას.

ეფექტიანი მონიტორინგისათვის, „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ მოთხოვნებით, აუცილებელია, მჭიდრო თანამშრომლობა და კოორდინაცია ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს შორის, ასევე, მომხმარებლებსა და კონკურენციის სააგენტოს შორის. მომხმარებელთა უფლებების დაცვის მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობათ ენერგომომხმარებლებს, ლომელთაც აქვთ უშუალო ურთიერთობა მომხმარებლებთან და შეუძლიათ დავების მოგვარების ხელშეწყობისთვის სამართლიანი პლატფორმის ჩამოყალიბება, ასევე, მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება.

4.2. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანო: სსიპ სემეკ-ის როლი და ფუნქციები

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით და „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (შემდგომში „სემეკი“)⁶⁷ ენერგეტიკული სექტორის მარეგულირებელ ერთადერთ ორგანოდაა დასახელებული. მარეგულირებელი ორგანოს დაფუძნება და ლიკვიდაცია წარმოადგენს კანონმდებლის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას და, შესაბამისად, მხოლოდ კანონიდან უნდა გამომდინარეობდეს.

საქართველოში ენერგეტიკის სექტორის რეგულირება სემეკის კომპეტენციაა. სემეკი 1997 წელს ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობაში არ ექვემდებარება არც ერთ სხვა სახელმწიფო უწყებას და ორგანიზაციას⁶⁸. სემეკი-ს სტატუსი სრულად შეესაბამება ევროპულ პრაქტიკას, რადგან არის ერთადერთი მარეგულირებელი ორგანო ენერგეტიკის სექტორში და არ ხდება მისი საქმიანობების გადაფარვა სხვა უწყებებთან, თუმცა არსებობს გარკვეული საკანონმდებლო ხარვეზები, ხელს უშლის სემეკი-ს, როგორც დამოუკიდებელი მარეგულირებლის ფუნქციების სრულყოფილ განხორციელებას.

⁶⁷ სსიპ სემეკი <http://www.gnerc.org/> ბოლოს ნანახია თებერვალი, 2019.

⁶⁸ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია; <http://www.gnerc.org/> ბოლოს ნანახია თებერვალი, 2019.

როგორც აღინიშნა, **დამოუკიდებელი** მარეგულირებელი ორგანოს არსებობა ევროკავშირის კანონმდებლობის - კერძოდ, მესამე ენერგეტიკული პაკეტის - ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა. დირექტივებით დადგენილია, რომ ეროვნული მარეგულირებელი ორგანო უნდა იყოს **ფუნქციურად, ფინანსურად და სამართლებრივად დამოუკიდებელი უწყება**.

ერთი მარეგულირებელი ორგანოს ჩამოყალიბების მოთხოვნა არამარტო მესამე ენერგეტიკული პაკეტის, არამედ საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ძირითად მოთხოვნასაც წარმოადგენს.

ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-11 თავის 215-ე მუხლის თანახმად, თითოეული მხარე პასუხისმგებელია, შექმნას დამოუკიდებელი მარეგულირებელი უწყებები, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან ელექტროენერგეტიკული ბაზრების რეგულირების უფლებით.

რაც შეეხება ევროკავშირის 2009/72/EC და 2009/73/EC დირექტივებს, მათ თანახმად, ისევე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ: წევრმა სახელმწიფომ ეროვნულ დონეზე ერთი მარეგულირებელი ორგანო უნდა დაასახელოს.

ფუნქციური დამოუკიდებლობა გულისხმობს, რომ მარეგულირებელი ორგანო უნდა იყოს ნებისმიერი საჯარო თუ კერძო ორგანიზაციისაგან თუ თანამდებობის პირისაგან დამოუკიდებელი, რომელიც არ იღებს არანაირ მითითებებს. გარდა ამისა, მის პერსონალსა და მენეჯმენტზე პასუხისმგებელ პირებს არ უნდა გააჩნდეთ ნებისმიერი სახის საბაზრო ინტერესი. ამასთან, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს თანამშრომლები და მართვის უფლების მქონე პირები არ უნდა იღებდნენ პირდაპირ მითითებებს. მითითება, ამ შემთხვევაში, გულისხმობს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ზეგავლენას მოახდენს მარეგულირებელი ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მარეგულირებელი ორგანოს **ფინანსური დამოუკიდებლობა**. მარეგულირებელი ორგანოს უნდა ჰქონდეს საკუთარი, წინასწარ განსაზღვრული ბიუჯეტი, რათა საკუთარი საქმიანობა ეფექტიანად განახორციელოს. თუ მარეგულირებელი ორგანო ფინანსურად დამოუკიდებელი არ არის, შექმნის გარკვეული ზეგავლენის მოხდენის საფრთხე, რაც, თავის მხრივ, დააზარალებს ქვეყნის ენერგეტიკულ ბაზრებსა და მასში მონაწილე პირებსა და ან დაინტერესებულ მხარეებს. ფინანსური დამოუკიდებლობა საკმაოდ

მნიშვნელოვანი საკითხია, რომელთან დაკავშირებული მოთხოვნებიც ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელი მხარის მიერ აუცილებლად უნდა შესრულდეს. საქართველოს შემთხვევაში, მარეგულირებელი ორგანოს ფინანსური დამოუკიდებლობა პრობლემურ საკითხს არ წარმოადგენს.

2006 წელს არსებითად შეიცვალა ბაზრის სტრუქტურა საქართველოში და სექტორის რეგულირების ფუნქციების მნიშვნელოვანი ბერკეტები გადაეცა ენერგეტიკის სამინისტროს (2017 წლიდან კი ეკონომიკის სამინისტროს), მათ შორის, ელექტროენერჯის ბაზრის წესების დამტკიცება, სრული ან ნაწილობრივი დერეგულირება, ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსის დამტკიცება, ბაზრის მონიტორინგი კი მარეგულირებელი სემეკი-ს კომპეტენციად განისაზღვრა. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრო არ ერევა მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობაში, მას აქვს მინიჭებული ნაწილობრივი ან სრული დერეგულირების უფლებამოსილება: მას (სამინისტროს) შეუძლია დართოს ნება ელ.ენერჯის წარმოების ლიცენზიატს (ან მცირე სიმძლავრის ელ.სადგურს) - წარმართოს საქმიანობა ლიცენზიისა და ტარიფის განსაზღვრის გარეშე (სრული დერეგულირება)⁶⁹. ნაწილობრივი დერეგულირებისას კი, სამინისტრო უფლებას აძლევს წარმოების ლიცენზიატს, ზღვრული ტარიფით განახორციელოს საქმიანობა.

ამდენად, სემეკი მონიტორინგს უწევს ბაზარს, რომლის წესებიც თვითონ არ დაუდგენია.

ევროკავშირის კანონმდებლობა ცალსახად აღნიშნავს, რომ ბაზრის წესებს უნდა ადგენდეს მარეგულირებელი ორგანო. კომისია თავის საქმიანობას უნდა წარმართავდეს გამჭვირვალედ.

ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, კომისია **ვალდებულია:**

1. ყოველწლიურად **გამოქვეყნოს** თავისი საქმიანობის შესახებ **ანგარიში**.

⁶⁹ გაწერელია, ა.; 2016; ხუბუა გ. (რედ.), ზომერმანი კ. (რედ.); საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები. თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი. ტ. 3. გვ. 349-350. <http://lawlibrary.info/ge/books/giz2016-ge-handbook-legal-bases-public-administration.pdf> ბოლოს ნანახია ივლისი, 2019 წ.

ანგარიშს სემეკი უგზავნის საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს და სამინისტროს. ანგარიში ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვისაც⁷⁰.

კომისია ასევე ვალდებულია ყოველი წლის 31 მარტამდე მოამზადოს და გამოაქვეყნოს გასული წლის ფინანსური ანგარიში, რომელშიც უნდა აისახოს კომისიის ანგარიშზე რეგულირების საფასურიდან მიღებული თანხები და კომისიის მიერ ამ თანხების გამოყენება, აგრეთვე წლის განმავლობაში აღებული სესხები და კომისიის მიერ გამოყენებული სხვა თანხები. კომისია ვალდებულია უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა⁷¹. სემეკი, კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველწლიურად აქვეყნებს წლიურ ანგარიშებს და მოიცავს მრავალმხრივ ინფორმაციას და ანალიზს. კომისიის წლიურ ანგარიშებში ცალკე თავი ეთმობა ბიუჯეტს და მისი შესრულების პარამეტრებს.

2. სემეკ-ზე ასევე სრულად ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის 49-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნა ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით.

კომისია ვალდებულია გასცეს მოთხოვნილი ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან 10 დღის ვადაში. ყოველწლიურად სემეკი აქვეყნებს ანგარიშს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ სადაც დეტალურად არის მოყვანილი მარეგულირებელში საჯარო ინფორმაციის გამოთხოვით შესული განცხადებები წლის განმავლობაში და მათი სტატუსი. გამოთხოვილი ინფორმაციის უმეტესობა სრულად არის დაკმაყოფილებული, ზოგიერთი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ და ამ შემთხვევაში განმარტებულია მიზეზები.

3. გამჭვირვალობის კუთხით აღსანიშნავია სემეკი-ს გადაწყვეტილებების გამოქვეყნების და საჯარო სხდომების წარმოების წესი.

კომისიის ვებ-გვერდზე⁷² გამოყოფილია საჯარო წარმოებისა და საჯარო სხდომების განყოფილებები, სადაც მოცემულია დეტალური ინფორმაცია მიღებული გადაწყვეტილებების ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. სხდომების ძირითადი ნაწილი საჯაროა. კომისიის მიერ მიღებული

⁷⁰ მუხლი 21, ელექტრონენერჯისა და ბუნებრივი გაზის შესახებ საქართველოს კანონი.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31744?publication=46> ბოლოს ნანახია თებერვალი, 2019.

⁷¹ იქვე.

⁷² იქვე.

გადაწყვეტილებები ქვეყნდება საჯაროდ. შესაბამისი დადგენილებები ასევე ქვეყნდება საქართველოს **საკანონმდებლო მაცნეს** ოფიციალურ ვებ გვერდზე.

სემეკ-ის ვებ-გვერდზე ასევე ხელმისაწვდომია ინფორმაცია მომხმარებლისთვის: თუ როგორ უნდა მოხდეს ელექტროენერჯის აბონენტად რეგისტრაცია, რა ტარიფები მოქმედებს, როგორია დარიცხვისა და საფასურის გახდის წესი, როგორ უნდა მოხდეს სიმძლავრის გაზრდა და ა.შ.

სემეკის ერთერთი ძირითადი ფუნქციაა ლიცენზიანტებს, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებს, იმპორტიორებს, ექსპორტიორებს, მიმწოდებლებს, მომხმარებლებსა და ბაზრის ოპერატორს შორის წარმოქმნილი **სადავო საკითხების გადაწყვეტა** თავისი კომპეტენციის ფარგლებში⁷³.

სადავო საკითხების გადაწყვეტისას კომისია დამოუკიდებელია. იგი სადავო საკითხს წყვეტს მიუკერძოებლად, კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით. მიუხედავად იმისა, რომ სემეკის აპარატისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებს **მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური**⁷⁴, მომხმარებელთა ინტერესების დაცვა სემეკის უმნიშვნელოვანეს ფუნქციად რჩება. კომისიის სხდომაზე სადავო საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის ფორმით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით. ეს მოდავე მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, სრულყოფილად გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები სადავო საკითხთან დაკავშირებით, აგრეთვე, დაუბრკოლებლად წარმოადგინონ მტკიცებულებები, დააყენონ შუამდგომლობები და ა.შ.

ეროვნულმა მარეგულირებელმა ორგანომ უნდა გადაწყვიტოს დავები მიუკერძოებლად. მის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და საჯაროდ ხელმისაწვდომი. მესამე ენერგეტიკული პაკეტის ერთ-ერთ მოთხოვნას ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მიერ **მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობის** არსებობა წარმოადგენს. ევროპის კავშირის კანონმდებლობის მიხედვით, ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელშემკვრელ ქვეყნებსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში უნდა არსებობდეს დამოუკიდებელ ორგანოში გასაჩივრების მექანიზმი. ამ მხრივ საქართველოს

⁷³ მე-4 მუხლი, მე-5 პუნქტი, ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ საქართველოს კანონი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31744?publication=46> ბოლოს ნანახია თებერვალი, 2019.

⁷⁴ საქართველოს ენერგომბუდსმენი <http://pdci.ge/> ბოლოს ნანახია თებერვალი, 2019.

კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. სემეკი გადაწყვეტილებას საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე, საჯარო სხდომაზე იღებს. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია, წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები (სურვილის შემთხვევაში - ანონიმურად). სემეკი-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება კი შესაძლებელია სასამართლოში.

როგორც აღინიშნა, სემეკი სრულად დამოუკიდებელი ორგანოა. მისი სტატუსი, როგორც ზემოთ აღწერილია, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს შესახებ“ საქართველოს კანონითაა განსაზღვრული. სემეკი სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირია (სსიპ), რომელიც არაა შექმნილი სახელმწიფო ქონების საფუძველზე და ემორჩილება კანონს. მისი დაფინანსების წყარო რეგულირებადი საწარმოების მიერ გადახდილი რეგულირების საფასურია, რომელიც „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონის⁷⁵ საფუძველზე დგინდება.

კომისიის წევრის არჩევის პროცესში სამი სახელისუფლებლო შტო მონაწილეობს. საქართველოს პრეზიდენტი კომისიის წევრთა კანდიდატურებს კონტრასიგნაციისათვის საქართველოს მთავრობას წარუდგენს. საქართველოს მთავრობის თანხმობის შემდეგ კანდიდატურები საქართველოს პარლამენტს წარედგინება. საქართველოს პარლამენტი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

აღსანიშნავია, რომ ევროპული ენერგეტიკული პოლიტიკის თანახმად, მარეგულირებელი კომისიის წევრი 5-7 წლის ვადით უნდა დაინიშნოს და აუცილებელია, არსებობდეს წევრთა როტაციის სქემა, რაც, საქართველოში არ არის დანერგილი.

უშუალოდ მარეგულირებელი კომისიის ფუნქციებთან დაკავშირებით ევროპის მესამე ენერგეტიკული პაკეტი ადგენს იმპერატიულ მოთხოვნებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად: ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს უნდა ჰქონდეს ტარიფების დადგენის უფლებამოსილება. 2009/72/EC და 2009/73/EC დირექტივების თანახმად, მარეგულირებელმა ორგანომ უნდა დაადგინოს

⁷⁵ რეგულირების საფასურის შესახებ საქართველოს კანონი, 01/07/2005, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/27130%C2%A0?publication=8> ბოლოს ნანახია თებერვალი, 2019.

გადაცემისა და განაწილების ტარიფები და მათი დადგენის მიზნით მოამზადოს და დაამტკიცოს ტარიფების დადგენის მეთოდოლოგია.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მხოლოდ სემეკია უფლებამოსილი, შეიმუშავოს ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია და მის საფუძველზე დაადგინოს გამჭვირვალე, ხელმისაწვდომი და სამართლიანი ტარიფები. საქართველოს ენერგეტიკული რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი ცვლილების მიხედვით, მარეგულირებელი კომისიის კომპეტენციაში წარმოების ობიექტების ტარიფის დადგენა აღარ შევა. ტარიფი უნდა დადგინდეს მხოლოდ ე.წ. ბუნებრივ მონოპოლიების, ანუ ქსელური საქმიანობის მქონე კომპანიებისთვის. ელექტროენერგიის ღირებულებას ბაზარი განსაზღვრავს. ასეთი მიდგომა სექტორში მანიპულირების შესაძლებლობას ეტაპობრივად გამორიცხავს.⁷⁶

4.3. ინფორმაციის გამჭვირვალობასა და საჯაროობაზე პასუხისმგებელი ორგანოები საქართველოში

საქართველოში ენერგეტიკის სტატისტიკის მონაცემთა შეგროვებაზე, დამუშავებასა და ანალიზზე პასუხისმგებელია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური⁷⁷, თუმცა აღსანიშნავია რომ საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, სემეკი და სხვა შესაბამისი დაწესებულებები აქტიურად მონაწილეობენ აღნიშნულ სისტემაში. შესაბამისად, ეს ორგანიზაციები წარმოადგენენ საქართველოს ენერგეტიკის სტატისტიკის მონაცემთა წყაროებს და ენერგეტიკის სტატისტიკის მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პროცესის მონაწილეებად ითვლებიან. 2013 წლიდან ენერგეტიკის სტატისტიკის სისტემაში მონაწილე სხვადასხვა დაწესებულებას შორის ჩამოყალიბდა მჭიდრო თანამშრომლობა⁷⁸, რამაც უდიდესი წვლილი შეიტანა სტატისტიკურ მონაცემთა

⁷⁶ მ.მარგველაშვილი et al, 2017. ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში. “მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის”.

http://weg.ge/sites/default/files/reforms_in_energy_sector_0.pdf ბოლოს ნანახია თებერვალი, 2019.

⁷⁷ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური <http://www.geostat.ge/> ბოლოს ნანახია თებერვალი, 2019.

⁷⁸ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის დადგენილება №97, 2013 წლის 26 აპრილი;

<http://www.energy.gov.ge/projects/pdf/vacancy/Sakartvelos%20Mtavrobis%20Dadgenileba%2097%2026042013%20388%20geo.pdf> ბოლოს ნანახია ივლისი, 2019.

მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისა და ქვეყანაში ენერგეტიკის სტატისტიკის სისტემის გაუმჯობესების საქმეში.

საქართველოს სახელმწიფო ელექტროენერგეტიკის სტატისტიკის სისტემაში ჩართულნი არიან შემდეგი დაწესებულებები:

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი);
- საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო;
- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი);
- ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი (ესკო);
- საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (სსე).

ყოველწლიურად საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 35 ინსტიტუციური სექტორიდან აგროვებს მონაცემებს ენერგორესურსების წარმოებასა და მოხმარებაზე⁷⁹. სხვადასხვა კვლევის მონაცემებზე, ადმინისტრაციულ წყაროსა და ექსპერტულ შეფასებაზე დაყრდნობით, საქსტატი ყოველწლიურად ამუშავებს ენერგეტიკულ ბალანსს და უზრუნველყოფს მისი მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომობას. ენერგეტიკის სტატისტიკის წარმოების პროცესში საქსტატი თვითონ ახორციელებს კვლევებს, ამასთან ერთად, ის იყენებს სხვადასხვა ადმინისტრაციული წყაროდან მიღებულ მონაცემებს. ასეთი ადმინისტრაციული წყაროებია:

- სემეკი, რომელიც ითვლება ელექტროენერჯის მოხმარების შესახებ მონაცემების ძირითად წყაროდ, რადგანაც ქვეყანაში აღნიშნული ენერგორესურსების მოხმარების მონიტორინგი ხორციელდება მის მიერ;
- ესკო და სსე წარმოადგენენ ძირითად წყაროს ელექტროენერჯის ექსპორტისა და იმპორტის შესახებ: ელექტროენერჯით საგარეო ვაჭრობის მონაცემები იწარმოება ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისა (ესკო) და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის (სსე) მიერ.

⁷⁹ ენერგორესურსების წარმოების, მიწოდების და განაწილების შესახებ კითხვარები (წლიური), სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; 2019
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/558/questionnaires-biznes-statistika/questionnaire>
ბოლოს ნანახია, ივლისი, 2019 წ.

თავი 5

სამართლებრივი ხარვეზები

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სემეკი-ს საქმიანობის შესაფასებლად შეიძლება რამოდენიმე სამართლებრივი ხარვეზი აღნიშნოს. თუმცა, უმთავრესი მოთხოვნა - საქმიანობის გამჭვირვალობის საკითხი სემეკს მაღალი ხარისხით აქვს შესრულებული და ამ მხრივ სრულად ასრულებს კანონის მოთხოვნებსა და თითქმის შეესაბამება საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებს იმ სფეროებში, სადაც მისი რეგულირება ვრცელდება.

ევროკავშირის ენერგეტიკული კანონმდებლობის შესაბამისად, **აღსადგენია სემეკი-ს მიერ ბაზრის რეგულირების ფუნქციები**, რაც, სავარაუდოდ, შემდგომი გამჭვირვალობის და სტაბილური გარემოს შექმნის წინაპირობა გახდება.

საქართველოს კანონმდებლობა ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგის კუთხით დასახვეწია. 2013 წლის 27 დეკემბერს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, სემეკ-ს მიენიჭა საცალო და საბითუმო ენერგეტიკული ბაზრების მონიტორინგის უფლებამოსილება. დღესდღეობით, **საბითუმო ბაზრის წესები საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ მტკიცდება**, რაც ევროკავშირის კანონმდებლობასთან შეუსაბამოა და საკანონმდებლო ხარვეზს წარმოადგენს. რეალურად, სემეკი ახორციელებს იმ ბაზრის მონიტორინგს, რომლის წესებსაც თავად არ ადგენს. ევროკავშირის კანონმდებლობა ამ მხრივ იმპერატიულია და ცალსახად მოითხოვს, რომ ბაზრის წესები ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მიერ შემუშავდეს და დამტკიცდეს. მესამე ენერგეტიკული პაკეტის სრულად იმპლემენტაციისათვის აღნიშნული **ფუნქცია მარეგულირებელ ორგანოს უნდა გადაეცეს.**

ზემოაღნიშნულის გარდა, ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს **დავების გადაწყვეტისა და სავალდებულო ხასიათის მქონე გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება უნდა გააჩნდეს.** „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის თანახმად, კომისია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში წყვეტს დავებს ლიცენზიანტებს, მცირე სიმძლავრის

ელექტროსადგურებს, იმპორტიორებს, ექსპორტიორებს, მიმწოდებლებს, მომხმარებლებსა და ბაზრის ოპერატორს შორის. სემეკი გამოსცემს დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებს, რომლებიც შესასრულებლად სავალდებულოა და მათი შეუსრულებლობა კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის დადგომას იწვევს.

ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად, ეროვნულმა მარეგულირებელმა ორგანომ უნდა გამოიყენოს **სანქციები** იმ შემთხვევაში, როდესაც ბაზრის მონაწილე ან მომხმარებელი არ ასრულებს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ამასთანავე, დირექტივებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ეროვნულ მარეგულირებელ **ორგანოს უნდა ჰქონდეს ნებისმიერი ინფორმაციის, მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის, გამოთხოვისა და მიღების უფლებამოსილება**, რაც საჭიროა მისი ფუნქციების შესასრულებლად, ენერგეტიკული სექტორის დასარეგულირებლად და საქმიანობის გასახორციელებლად.

ინფორმაციის მიღების უფლებასთან ერთად, აუცილებლად უნდა აღინიშნოს **საგამოძიებო ქმედებების განხორციელების უფლებამოსილება**. ევროპული დირექტივების მიხედვით, მარეგულირებელი ორგანო უფლებამოსილია, ჩაატაროს **გამოძიება** ბაზრის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით და შემდეგ **დააწესოს გარკვეული ზომები** არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. **აღნიშნულ დებულებას საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს.**

ევროკავშირის კანონმდებლობა როგორც ბაზრის მონიტორინგთან და საბითუმო ბაზრის წესებთან, ისე **ინვესტიციების დამტკიცებასთან** და ქსელის განვითარებასთან დაკავშირებით იმპერატიულ მოთხოვნებს აწესებს. ევროპული დირექტივების თანახმად, გადამცემი სისტემის თითოეულმა ოპერატორმა უნდა მოამზადოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა და აღნიშნული გეგმა დასამტკიცებლად მარეგულირებელ ორგანოს უნდა წარუდგინოს. დღეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით კი, 2014 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, აღნიშნულ **გეგმას საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო ამტკიცებს**. აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზი ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოვების პროცესში უნდა აღმოიფხვრას. ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს მიერ მომზადებული კანონპროექტი

(2017) ზუსტად და დეტალურად განსაზღვრავს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ზემოაღნიშნულ ფუნქციებს, უფლებებსა და მოვალეობებს.

ენერგეტიკის სტატისტიკის სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ **კანონმდებლობით არ არის ცალსახად განსაზღვრული სისტემაში ჩართული დაწესებულებების კონკრეტული ფუნქციები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობები**, ენერგეტიკის სტატისტიკის მონაცემთა შეგროვებასთან და შესაბამისი მაჩვენებლების გაანგარიშებასთან დაკავშირებით.

თავი 6

დასკვნა

შეჯამებისთვის, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ნაკისრი ვალდებულებებისა და კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან მოითხოვს რეფორმების განხორციელებას სხვადასხვა მიმართულებით. რეფორმების განხორციელების დროს დიდი მნიშვნელობა და წარმართველი როლი ენიჭება სწორედ ელექტროენერგეტიკის ორგანიზებული ბაზრის შექმნას, რომელშიც უმნიშვნელოვანესი ფუნქცია დაეკისრება ვერტიკალურ განმხილვას. ასეთი ბაზრის შესაქმნელად აუცილებელია მითითებული სამართლებრივი ხარვეზების აღმოფხვრა.

ევროკავშირის კანონმდებლობა გვთავაზობს რეგულირების ძლიერ მექანიზმებს გამჭვირვალობის და სამართლიანი კონკურენციის ხელშესაწყობად, რათა თავიდან ავიცილოთ მონოპოლია და კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედება ეროვნულ ბაზარზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უმთავრესი საკითხია ელექტროენერჯის ორგანიზებული ბაზრის შექმნა იმგვარად, რომ განხორციელდეს ვერტიკალურად

ინტეგრირებული მონაწილეების განცალკევება, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს სამართლებრივ, ფუნქციურ და ფინანსურ განმხილვას.

კერძოდ, გამანაწილებელი ქსელის ოპერირების საქმიანობა უნდა იყოს განმხილვითი მიწოდებისა და წარმოების საქმიანობისგან (ენერგეტიკული გაერთიანების შეთანხმებისა და მესამე ენერგეტიკული პაკეტის შესაბამისად). ეს გამანაწილებელ კომპანიებს მისცემს საშუალებას, კონცენტრირება მოახდინონ გამანაწილებელი ქსელის განვითარებაზე, ახალი მოსარგებლებების დაშვებაზე და უზრუნველყონ გამანაწილებელ ქსელზე წვდომა არადისკრიმინაციული საფუძვლებით.

ზემოთ აღნიშნული მიდგომის განხორციელება ხელს შეუწყობს კონკურენციის განვითარებას და უზრუნველყოფს ელექტროენერჯის ბაზრის ლიბერალიზაციას, ქსელზე წვდომის არადისკრიმინაციულ და მაქსიმალურად გამჭვირვალე მარეგულირებელი სისტემის შექმნას, რომლის აღსრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი იქნება მარეგულირებელი ორგანო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. L. Pavlenishvili, N. Pignatti, 2018, '2018 – A Turning Point for the Georgian Electricity Market?' Financial;
<http://www.iset-pi.ge/index.php/en/iset-economist-blog-2/entry/2018-a-turning-point-for-the-georgian-electricity-market>
2. Building the Energy Union.
www.ec.europa.eu;
3. Chapter VII, Unbundling and Transparency of Accounts;
<https://eur-lex.europa.eu/legal-content/GA/ALL/?uri=CELEX%3A32003L0055>
4. Directive 96/92/EC of the European Parliament and of the Council of 19 December 1996 concerning common rules for the internal market in electricity;
<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A31996L0092>
5. Directive 2003/54/EC of the European Parliament and of the Council of 26 June 2003 concerning common rules for the internal market in electricity and repealing Directive 96/92/EC - Statements made with regard to decommissioning and waste management activities.
<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32003L0054>
6. Directive 2009/72/EC of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 concerning common rules for the internal market in electricity and repealing Directive 2003/54/EC (Text with EEA relevance).
<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A32009L0072>
7. Directive 2009/73/EC, Chapter IX, Retail Market, Article 45. Directive 2009/72/EC, Chapter X, Retail Market, Article 41;
<https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2009:211:0055:0093:EN:PDF>
8. Langsdorf S., 2011, EU Energy Policy: From the ECSC to the Energy Roadmap 2050. Green European Foundation (GEF), Heinrich-Böll-Stiftung.
http://archive.gef.eu/uploads/media/History_of_EU_energy_policy.pdf
9. Principles of the trading system: Most Favoured Nation (MFN) is a fundamental principle of the world trading system which is aimed at promoting trade without

discrimination. Pursuant to the MFN principle, countries are not permitted to discriminate between their trading partners by making exclusive concessions to one member over the other...

https://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/fact2_e.htm

10. Principles of the trading system: All WTO members are provided with MFN status and their respective products and services are granted national treatment (NT) to ensure there is no discrimination between foreign and domestic goods amongst trading partners...

https://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/fact2_e.htm

11. Treaty on the Functioning of the European Union (Lisbon, 2007)

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A12012E%2FTXT>

12. The European Energy Charter;

<https://energycharter.org/process/european-energy-charter-1991/>

13. The Energy Charter Treaty;

<https://energycharter.org/process/energy-charter-treaty-1994/energy-charter-treaty/>

14. The Energy Charter Treaty, Part II: Policy Principles Article 3 Basic Principles (f),

https://energycharter.org/fileadmin/DocumentsMedia/Legal/ECT-Positive_Annex_W.pdf

15. The General Agreement on Tariffs and Trade (GATT 1947);

https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/gatt47_01_e.htm

16. Silvester van Koten, Andreas Ortmann; The Unbundling Regime for Electricity Utilities in the EU: A Case of Legislative and Regulatory Capture?;

<https://pdfs.semanticscholar.org/1b3d/c378f3458a73f8aba4002c55f7a77ac0de90.pdf>

17. გაწერელია, ა.; 2016; ხუბუა გ. (რედ.), ზომერმანი კ. (რედ.); საქარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები. თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი. ტ. 3. გვ. 349-350.

18. მირცხულავა, დ. 2017, “ზოგიერთი მოსაზრება 2030 წლამდე საქართველოს ენერგეტიკის ინტენსიურ განვითარებასთან დაკავშირებით”; ინტერვიუ, 2018 წ.

19. მირცხულავა, დ. 2018. „ზოგიერთი მოსაზრება 2030 წლამდე საქართველოს ენერგეტიკის ინტენსიურ განვითარებასთან დაკავშირებით“. საქართველო-

რუსეთი: ურთიერთობები: ენერგეტიკა, ეკონომიკა, უსაფრთხოება, გეოპოლიტიკა, მიგრაცია და კულტურა; კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის (ICCN) პუბლიკაცია.

http://iccn.ge/files/russian-georgian_relations_iccn_riac_geo_2018.pdf

20. ევროპის “ენერგეტიკული გაერთიანება” და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, ანგარიში. 2018 წ. «მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის» (WEG), ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო.

https://ge.boell.org/sites/default/files/reforms_in_energy_sector.pdf

21. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA); ხელმოწერა მოხდა 2014 წლის 27 ივნისს, ქ. ბრიუსელში.

<http://www.economy.ge/index.php?page=economy&s=7>

22. სარია, ე. 2016, რატომ სჭირდება ჰაერივით საქართველოს ევროპის ენერგოგაერთიანებაში გაწევრება, ყველაფერი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესახებ;

<http://eugeorgia.info/ka/article/378/ratom-schirdeba-haerivit-saqartvelos-evropis-energogaertianebashi-gawevreba/>

23. “ენერგეტიკის შესახებ ქართვის ოქმი ენერგეტიკული ეფექტურობისა და გარემოსთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ”, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 09.12.2004 წლის N 656 – III დადგენილებით;

<http://www.parliament.ge/files/international-acts/agr-2004-aut.doc>

24. ვახანია თ., 2016 წ. საქართველოს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების ანალიზი. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

<http://gip.ge/wp-content/uploads/2016/12/1.pdf>

25. მუხლი 9, დირექტივა 2012/27/EU; ოქმი #1 “ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ”,

სარაევო, 14 ოქტომბერი, 2016;

<http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Energetikuli%20Gaertianebis%20Dmfudznebel%20Khelshekrulebastansakartvelos%20Sheertebis%20Shesakheb%20Okmi%201454%20geo.pdf>

26. მარგველაშვილი, მ. et all, 2017, ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის.
https://ge.boell.org/sites/default/files/reforms_in_energy_sector.pdf
27. ენერგოეფექტურობა შენობებში, 2017. “მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის” (WEG);
<http://weg.ge/sites/default/files/energoepekturoba-shenobebshi.pdf>
28. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე, საქართველოს პარლამენტი, 24/06/2015, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2894951?publication=0>
29. საქართველო ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების წევრი გახდა 2016 წლის 14 ოქტომბერს.
<http://eugeorgia.info/ka/article/496/saqartvelo-evropis-energetikuli-gaertianebis-wevri-gaxda/>
30. საქართველო და ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება, ევროინტეგრაციის გამოწვევები. მწვანე ალტერნატივა, 2015 წელი.
http://weg.ge/sites/default/files/sakartvelo_da_evropis_energetikuli_gertianeba-1.pdf
31. საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი მიმოხილვა და მათი თანამშრომლობა საქართველოსთან, 2005, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია.
<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-10&cl=CL2.20&d=HASH17980266a54300d1658d08.1>1>
32. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება №19 2011 წლის 16 ნოემბერი; („ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების

მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის № 20 დადგენილება).

33. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს #77 ბრძანება <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2956698?publication=0>
34. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია;
<http://www.gnerc.org/>
35. ონაშვილი, ა. 2017, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია. ჰეინრიხ ბიოლის ფონდი საქართველოში;
36. საქართველოს კანონი ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ;
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31744?publication=45>
37. საქართველოს კანონი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ;
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/14062?publication=23>